საქართველო-ევროკავშირის 2014-2016 წლების ასოცირების დღის წესრიგის შესრულება

სამოქალაქო საზოგადოების შეფასება

მარტი, 2017

ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“

ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ ღია საზოგადოების ფონდების ქსელის წევრი ორგანიზაციაა, რომელიც 1994 წელს ნიუ-იორკის „ღია საზოგადოების ინსტიტუტმა“ დააფუძნა. ფონდი ხელს უწყობს ღია, დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, ემსახურება საზოგადოებრივი ინტერესების წარმოჩენას, მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებების დაცვას და საზოგადოებაში განსხვავებული აზრის მიმართ პატივისცემის დამკვიდრებას. ფონდმა „ღია საზოგადოება –საქართველომ“, სხვა დონორ ორგანიზაციებთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში სამოქალაქო სექტორის და მედიის განვითარებაში. ფონდი ახორციელებს პროექტებს და მხარს უჭერს ისეთ ინიციატივებს და ინოვაციურ მიდგომებს, რომლებიც ემსახურება კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებების დაცვას, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიის განვითარებას, სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებას, ეროვნულ და ევროპულ ინტეგრაციას, ჯანდაცვის სფეროს განვითარებასა და სოციალურ თანასწორობას.

მთარგმნელ-რედაქტორი: ანა გეგეჭკორი
დიზაინერი: თორნიკე ლორთქიფანიძე

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

წარმოდგენილ კვლევაში გამოთქმული მოსაზრება, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმ-გებელი მასალის შინაარსზე

Kingdom of the Netherlands

პუბლიკაცია მომზადებული პროექტის „საქართველოს ხელისუფლების ანგარიშვალ-დებულების გაზრდა ასოცირების ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის გზით“ ფარგლებში. პროექტი თანადაფინანსებულია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. დოკუმენტში წარმოდგენილი მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პოზიციას.

ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოსა“ და ანგარიშის ავტორების სახელით გვსურს, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადოთ საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს წარმომადგენლებს ლელა ლომიას, ნინო ბოლქვაძეს, ფლორ ნუიტენ-ელზინგას და საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს მის აღმატებულება ბატონ იოს დაუმას. ფონდი და დოკუმენტების ავტორები მათ ყურადღებასა და მხარდაჭერას ვგრძნობდით პროექტის განხორიცელების თითოეულ ეტაპზე.

გვსურს ასევე, მხარდაჭერისა და შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობისთვის მადლობა ვუთხრათ საქართველოს ევროპულ და ევრატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ყოფილ სახელმწიფო მინისტრს, ამჟამად საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ამერიკის შეერთებულ შტატებში მის აღმატებულება ბატონ დავით ბაქრაძეს და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს, ამჟამად საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს დანიის სამეფოსა და ისლანდიაში, მის აღმატებულება გიგი გიგიაძეს.

გარე ადვოკატირების მიმართულებით პროექტის წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს დირექტორმა ნინო ლეჟავამ; „ღია საზოგადოების ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტის“ ანალიტიკოსმა სტანისლავ სეკრეარუმ და იმავე ინსტიტუტის პროგრამის ასისტენტმა პამელა ვალენტიმ. ფონდი მადლობას უხდის მათ გაწეული დახმარებისთვის.

სარჩევი

09 მართლმსაჯულება

15 არჩევნები

17 ადმინისტრაციული
რეფორმა და საჯარო სამსახური

21 წამებისა და სასტიკი მოპყრობის
წინააღმდეგ ბრძოლა

27 პროფესიული კავშირების უფლებები და
ძირითადი შრომითი სტანდარტები

33 თანასწორი მოპყრობა

37 ბავშვთა უფლებების დაცვა

43 კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება

53 თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ
და მედიის სფეროებში

59 თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში

65 გარემო და კლიმატის ცვლილება

71 სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება

77 განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა

83 თანამშრომლობა კულტურის სფეროში

შესავალი

2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პირობითად ძალაში შესვლისთანავე ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ აქტიურად ჩაერთო ხელშეკრულების შესრულების მონიტორონგის პროცესში და ხელი შეუწყო მასში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობას.

2016 წელს მონიტორინგის საფუძველზე მომზადდა 27 პოლიტიკის დოკუმენტი და წარმოდგენილი სრული ანგარიში საქართველო-ევროკავშირის 2014-2016 წლების ასოცირების დღისწესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე. არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართული იყვნენ 2016 და 2017 წლების ასოცირების ხელშეკრულების შესრულების სამოქმედო გეგმებისა და 2017-2020 წლების ასოცირების დღისწესრიგის შემუშავების პროცესში. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციების საგრძნობი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ევროპის პარლამენტის მიერ და აისახა ოფიციალურ დოკუმენტებში.

მოცემული ანგარიში კომპლექსურად აფასებს საქართველოს მიერ 2014-2016 წლის ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების დღისწესრიგის შესრულებას. საქართველომ დოკუმენტით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა, თუმცა არის საკითხები მართლმსაჯულების, მედიის, განათლების, შრომის უფლებებისა, გარემოს დაცვის და სხვა სფეროებში, სადაც ქვეყნის ხელისუფლებას უფრო მეტი პროგრესის ჩვენება სჭირდება.

აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ შიდა პროექტის „საქართველოს ხელისუფლების ანგარიშვლადებულების გაზრდა ასოცირების ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის გზით“, რომელიც თანადაფინანსებულია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ.

ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ იმედს გამოთქვამს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი სასარგებლო იქნება საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების, ევროკავშირის ინსტიტუტების, მედიის წარმომადგენლების და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის და ხელს შეუწყობს საქართველოს ევროკავშირში შემდგომი ინტეგრაციისა და საბოლოო გაერთიანებაში გაწევრიანების პროცესს.

ვანო ჩხიკვაძე
ევროინტეგრაციის პროგრამის მენეჯერი
ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“

მართლმსაჯულება

საკითხი 1

სასამართლო რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება გამოკვეთილი მიზნებითა და პრიორიტეტებით, რომელიც უნდა მოიცავდეს მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნისა და გადამზადების პოლიტიკას და შესაბამის რესურსებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასამართლო მოხელეთა კომპეტენტურობა.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა
გაკეთდა: შექმნილია კომისია იუსტიციის საბჭოს მიერ, რომელიც მუშაობს სტრატეგიაზე.
არ გაკეთდა: სტრატეგია ჯერჯერობით დასრულებული სახით არ არსებობს.

საკითხი 2

გაგრძელდეს რეფორმების განხორციელება ისეთ სფეროებში, როგორიც არის: მართლმსაჯულება, სისხლის სამართლის კოდექსი და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ამასთან ერთად, მოხდეს სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში მხარეების თანასწორობის გაზრდა და ისეთი საკითხების განხილვა და სამართლებრივი წინადადებების წარმოდგენა როგორიცაა:
- მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, ეფექტიანობის, მიუკერძოებლობისა და პროფესიონალიზმის გაზრდა;
- სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების უზრუნველყოფა;
- დამოუკიდებელი და ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფა;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება, რათა დაცულ იქნას ბავშვთა უფლებები;
- საპროცესო გარიგების სისტემის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის და ევროსაბჭოს/ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებთან და პრაქტიკასთან;
- სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლის სტატუსის და უფლებების განსაზღვრა;
- სისხლის სამართლის საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმირება.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა
გაკეთდა: ზემოთ ჩამოთვლილი კონკრეტული საკითხებიდან განხორციელდა მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა. დანარჩენი საკითხების მიმართულებით ცალკეული მცირე ნაბიჯები იდგმება, თუმცა აქტივობებს შესრულებულად ვერ ჩავთლით.
არ გაკეთდა: განსაკუთრებულ გამოწვევად რჩება: დამოუკიდებელი და ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფა; სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლის სტატუსი და უფლებები. გარკვეული ხარვეზები რჩება ასევე საპროცესო სისტემის ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხითაც. მნიშვნელოვანი სამუშაოა გასაწევი მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, ეფექტიანობის, მიუკერძოებლობისა და პროფესიონალიზმის გაზრდის და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების უზრუნველსაყოფად.

საკითხი 3

განხორციელდეს პროკურატურის რეფორმა 2008 წლის კანონში 2013 წლის ცვლილების შესაბამისად. კერძოდ, განისაზღვროს სათანადო საკონსტიტუციო ჩარჩო პროკურატურისთვის ეფექტიანი ზედამხედველობით, რათა მოხდეს პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდა და ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად პროფესიონალური პროკურატურა (მათ შორის, თანამშრომელთა შესაბამისი გადამზადების გზით), რომელიც თავისუფალი იქნება, როგორც პოლიტიკური პარტიის, ასევე, სხვა არამართლზომიერი ზეგავლენისგან.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: 2015 წელს განხორციელდა ცვლილებები პროკურატურის კანონში, რომლითაც შეიცვალა მთავარი პროკურორის თანამდებობაზე არჩევის და გათავისუფლების წესები, შეიქმნა ახალი ერთეულები - საპროკურორო საბჭო და პროკურორთა კონფერენცია.

არ გაკეთდა: არ განსაზღვრულა პროკურატურის სათანადო საკონსტიტუციო ჩარჩო, ნდობა პროკურატურის სისტემის მიმართ კვლავ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, განსაკუთრებით შესაძლო პოლიტიზირების და არამართლზომიერი გავლენების კონტექსტში.

საკითხი 4

უზრუნველყოფილ იქნას სისხლის სამართლებრივი დევნის გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად განხორციელება, პოლიტიკური მოტივაციის გარეშე, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი პოლიტიკურად მოტივირებული შერჩევითი სამართალი.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: ცალკეული მიმართულებებით არსებობს დადებითი ტენდენციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, თუმცა ეს ტენდენციები სუსტია და გამონაკლისის სახეს უფრო ატარებს, ვიდრე - წესის.

არ გაკეთდა: კვლავ რჩება ეჭვი კონკრეტულ საქმეებში სისხლის მართლმსაჯულების პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენების თაობაზე.

საკითხი 5

სისხლის სამართლის სფეროში გაგრძელდეს რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პოლიტიკა; ხელი შეეწყოს ისეთ მიდგომებს, როგორიც არის: არასაპატიმრო სასჯელი, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, აქტიურად იქნას გამოყენებული პრობაცია, თავდებით ნაადრევი გათავისუფლება, აცილება და შუამდგომლობა.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: სრულდება გარკვეული აქტივობები რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიმართულებით.

არ გაკეთდა: არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების მაჩვენებელი კვლავ ძალიან დაბალია.

საკითხი 6

უზრუნველყოფილ იქნას სისხლის სამართლებრივი დევნის გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად განხორციელება, პოლიტიკური მოტივაციის გარეშე, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი პოლიტიკურად მოტივირებული შერჩევითი სამართალი.

შეფასება: შესრულდა

გაკეთდა: იურიდიული სამსახური შექმნილია და მოქალაქეებს აწვდის იურიდიულ დახმარებას, თუმცა მხოლოდ ცალკეული კატეგორიის საქმეებზე

საკითხი 7

გაიზარდოს სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულება და მათზე დემოკრატიული ზედამხედველობა; საჩივრები პოლიციისა და პროკურორების წინააღმდეგ საჭიროებს პროფესიონალურ და ეფექტიან მექანიზმს მათზე სარწმუნო რეაგირებისთვის. განხილულ იქნას სრულფასოვანი, დამოუკიდებელი და ეფექტიანი გასაჩივრების მექანიზმის ჩამოყალიბების შესაძლებლობა მსგავსი საქმეების გამოსაძიებლად. უზრუნველყოფილ იქნას სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ყოვლისმომცველი პროფესიული გადამზადება ეთიკურ სტანდარტებთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შეფასება: არ შესრულდა

არ გაკეთდა: სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. დამოუკიდებელი მექანიზმი მათზე საჩივრების განსახილველად არ შექმნილა.

საკითხი 8

განვითარდეს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები (შუამდგომლობა, არბიტრაჟი); გადაიხედოს ადმინისტრაციული დაკავების წესები სამართლიანი სასამართლო განხილვის ნორმების შესაბამისად.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი არბიტრაჟის შესახებ კანონში.

არ გაკეთდა: პრაქტიკაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების დანერგვისთვის ნაკლებად იდგმება ნაბიჯები.

არჩევნები

საკითხი 1

არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების უზრუნველყოფა, საკანონმდებლო ჩარჩოსა და საარჩევნო ადმინისტრირებაში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფისა (IATF) და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს)/ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) მიერ განსაზღვრული ნებისმიერი ნაკლოვანების აღმოფხვრა, მათ შორის, 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებთან მიმართებით.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

- საქართველოს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებები ითვალისწინებს მერებისა და გამგებლების პირდაპირ არჩევნებს, აწესებს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის 50% + 1 ბარიერს, ხოლო საკრებულოს წევრთა პროპორციული არჩევნებისთვის ქმნის 4%-იან საარჩევნო ბარიერს;
- საქართველოს საარჩევნო კოდექსში შეტანილი იქნა ცვლილებები მაჟორიტარული ოლქების საზღვრების ხელახალი განსაზღვრის შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ხმათა თანასწორობის პრინციპი;
- საქართველოს საარჩევნო კოდექსში 2016 წლის 22 ივნისს შეტანილი იქნა ცვლილებები იმ მიზნით, რომ გაუმჯობესებულიყო საარჩევნო კანონმდებლობა და გაუქმებულიყო სპეციალური საარჩევნო უბნები.

არ გაკეთდა:

- საქართველოს პარლამენტის პარალელური საარჩევნო სისტემა არ შეცვლილა სამოქალაქო საზოგადოების და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მხრიდან რეკომენდაციების მიუხედავად. არსებული სისტემა იწვევს დისპროპორციას პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული ხმების და მანდატების რაოდენობას შორის.
- მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური საარჩევნო უბნების პრობლემის გადასაწყვეტად შემოღებული იქნა რეგულაციები, სამხედრო მოსამსახურეებს ჯერ კიდევ აქვთ უფლება, აირჩიონ მაჟორიტარი დეპუტატები სხვა რაიონებში (არა მათი რეგისტრაციის ადგილას), რაც სპეციალურ საარჩევნო უბნებთან დაკავშირებულ ძირითად პრობლემას წარმოადგენდა.

---

1 2014 და 2016 წლების ასოცირების დღის წესრიგის პერიოდში საქართველოში ორი არჩევნები ჩატარდა - 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები. საქართველომ შეინარჩუნა არჩევნების ჩატარებაში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი და 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები შეფასდა როგორც კონკურენტული და ამომრჩეველთა ძირითადი თავისუფლებების და ნების მიმართ ზოგადად პატივისცემის გამომხატველი. თუმცა, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში გარკვეული ხარვეზები აღინიშნებოდა არჩევნების დღის ადმინისტრირებაში, აგრეთვე საარჩევნო დავების მოკვლევასა და გადაწყვეტაში. საკანონმდებლო ბაზამ გარკვეული პოზიტიური ცვლილებები განიცადა: მათ შორის, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე შემოღებული იქნა მერებისა და გამგებლების პირდაპირი არჩევნები და 50% + 1 ბარიერი ამ არჩევითი თანამდებობებისთვის; აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების შეცვლას, რათა საპარლამენტო არჩევნების წინ უზრუნველყოს ხმათა თანასწორობის პრინციპი. თუმცა, ეს ცვლილებები არ არის საკმარისი არსებული საარჩევნო სისტემის სერიოზული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნები უფრო ფუნდამენტური საარჩევნო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით კვლავაც არ არის გათვალისწინებული.

ადმინისტრაციული რეფორმა და საჯარო სამსახური[2]

საკითხი 1

უზრუნველყოფილი იქნეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საერთაშორისო თანამშრომლობაში მონაწილეობა და შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების, როგორიც არის კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია, ეფექტიანი იმპლემენტაცია.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა.

გაკეთდა:

- წინსვლა იქნა მიღწეული ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის/ანტიკორუფციული ქსელის რეკომენდაციათა უმრავლესობის შესრულებაში.
- ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) ხუთივე რეკომენდაცია I თემის (ბრალდებები) ფარგლებში და სამი რეკომენდაცია II თემის (პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობა) დამაკმაყოფილებლად იქნა შესრულებული.
- 2014-2016 წლებისთვის „ღია მმართველობის პარტნიორობის“ 29 ვალდებულებიდან 2016 წლის შუა პერიოდისთვის 18 შესრულდა.
- „ღია მმართველობის პარტნიორობის“ საქართველოს ფორუმი მუშაობდა და უზრუნველყო განხორციელების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა.
- მიღებული იქნა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა.

არ გაკეთდა:

- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის/ანტიკორუფციული ქსელის რეკომენდაციათა უმრავლესობა ნაწილობრივ არის შესრულებული.
- არ აღინიშნება წინსვლა ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მიერ II თემის ფარგლებში გაცემული შვიდი რეკომენდაციის შესრულებაში.
- „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულებების უმეტესობა („ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ კანონპროექტის შემუშავება, საჩივრების ვებპორტალი მოქალაქეთათვის და ინტერაქტიული დანაშაულის სტატისტიკა და რუკების სისტემა) არ შესრულებულა.
- საქართველოს მთავრობის ბევრი ვალდებულება ეროვნული სამოქმედო გეგმის საფუძველზე (29-დან 12) არ არის რელევანტური „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფასეულებებისთვის.

---

2 შენიშვნა: 2014-2016 წლების ასოცირების დღის წესრიგში ანტიკორუფციული პოლიტიკისა და ადმინისტრაციული/საჯარო სამსახურის რეფორმის სფეროში ჩამოყალიბებულია სამი ძირითადი მიზანი. **2014, 2015** და **2016** წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებული იყო ასოცირების დღის წესრიგში ჩამოყალიბებული მიზნების ხელშესაწყობად განსახორციელებელი ზომები. მაგრამ კავშირი აღნიშნულ ზომებსა და უფრო ფართო მიზნებს შორის ხშირად კითხვებს იწვევდა და, ამასთან, ეროვნულ სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებული ზოგიერთი საკითხი იმგვარად იყო ჩამოყალიბებული, რომ რთული იყო მათი განხორციელების შეფასება. ამის გამო, წინამდებარე შეფასება ყურადღებას ამახვილებს უპირველეს ყოვლისა იმაზე, თუ რამდენად შესრულდა **2014-2016** წლებში ასოცირების დღის წესრიგში ჩამოყალიბებული ძირითადი მიზნები, ხოლო წლიური ეროვნული სამოქმედო გეგმებიდან მხოლოდ იმ საკითხებს იხილავს, რომლებმაც აშკარად ხელი შეუწყვეს აღნიშნული ძირითადი მიზნების მიღწევას (ან ხელს შეუწყობდნენ, რომ განხორციელებულიყვნენ).

საკითხი 2

მიღებული იქნეს ადეკვატური ზომები საზოგადოების ყველა დონეზე, რათა მოხდეს კორუფციის, განსაკუთრებით, მაღალი დონის კორუფციის, პრევენცია, გამოვლენა და მასზე რეაგირება.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

- დამტკიცდა ახალი ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა და მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია.
- რეგულარულად ქვეყნდებოდა ანგარიშები ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების თაობაზე.
- დამტკიცდა ანტიკორუფციული კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა ძალით, სხვა საკითხებთან ერთად, შემოღებული იქნა საჯარო სამსახურის თანამდებობის პირთა ქონების დეკლარაციების შემოწმების პროცედურა, სამსახურის დატოვების შემდგომი მოთხოვნები ქონების დეკლარირებასთან დაკავშირებით ყოფილი საჯარო მოხელეებისთვის და მამხილებელთა დაცვის გაძლიერება.
- ორგანიზებული იქნა ტრენინგები შინაგან საქმეთა სამინისტროს/სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომელთათვის; სააგენტოში შეიქმნა ანალიტიკური დეპარტამენტი.

არ გაკეთდა:

- საჯარო სამსახურის თანამდებობის პირთა ქონების დეკლარაციების შემოწმების დაწყება 2017 წლის იანვარში იყო დაგეგმილი, მაგრამ გადაიდო.
- დაყოვნდა „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ ახალი კანონის მიღება და საბოლოო კანონპროექტი ჯერ არ გასაჯაროებულა.
- ზოგადად საქართველოში კვლავ არ არსებობს ეფექტიანი მექანიზმი მაღალი დონის კორუფციის პოტენციურ შემთხვევებზე რეაგირებისათვის.

საკითხი 3

განხორციელდეს ადმინისტრაციული რეფორმა, სადაც აქცენტი გაკეთდება საჯარო ადმინისტრირებასა და ანგარიშვალდებული, ქმედითი, ეფექტიანი, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებაზე; და ევროპული სტანდარტების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებაზე.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

- მიღებული იქნა ახალი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“.
- შემუშავდა საჯარო სამსახურის ეთიკის კოდექსი.
- ჩატარდა ტრენინგები საჯარო მოხელეთათვის ეთიკისა და მამხილებელთა დაცვის საკითხებში.
- საჯარო სამსახურის რიგი პოზიციებისათვის მომზადდა თანამდებობრივი ინსტრუქციები.
- გადაიდგა ნაბიჯები საჯარო სამსახურში შეფასების სისტემის შემოსაღებად.
- სამინისტროებში შემოღებული იქნა ელექტრონული სისტემა ადამიანური რესურსების სამართავად.

არ გაკეთდა:

- ახალი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ არ შესულა ძალაში 2017 წლის იანვარში, როგორც ეს დაგეგმილი იყო, ვინაიდან დაგვიანდა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მიღება.
- საჯარო მოხელეთა შერჩევის, დაწინაურებისა და სამსახურიდან გათავისუფლების სრულად გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა ჯერ არ არის ჩამოყალიბებული.

წამებისა და სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა

საკითხი 1

სასტიკი მოპყრობისა და წამების წინააღმდეგ ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განახლება და მათი განხორციელებისთვის ძალისხმევის გაძლიერება დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

2015 წელს მიღებული იქნა ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომლის მოქმედების ვადა 2016 წლის დეკემბერში ამოიწურა. დამატებით შესწავლას საჭიროებს საკითხი, აქტიურად იქნა თუ არა გატარებული ზომები გეგმის განსახორციელებლად, რადგან ჯერ არ არის გამოცემული იუსტიციის სამინისტროს - განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყების - ანგარიში. გეგმის განხორციელება ევალებოდა სამინისტროს ფარგლებში არსებულ ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს. საჭიროა სამოქმედო გეგმის განახლება და დახვეწა.

საკითხი 2

სასჯელაღსრულების სისტემაში, პოლიციაში, სამხედრო თუ სხვა დახურულ დაწესებულებებში წამებასთან და სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით წაყენებული ბრალდებების სიღრმისეული, გამჭვირვალე და დამოუკიდებელი გამოძიების უზრუნველყოფა.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

- პროკურორებსა და გამომძიებლებს ჩაუტარდათ ტრენინგი წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ განცხადებათა ეფექტიან გამოძიებაში და წამების დანაშაულების სათანადო კვალიფიცირებაში;
- გადასინჯული იქნა რეკომენდაციები/სახელმძღვანელო მითითებები პროკურორებისთვის წამების დანაშაულების ეფექტიან გამოძიებასთან დაკავშირებით;
- რეორგანიზებული იქნა თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სამხედრო პოლიცია.

არ გაკეთდა: არ შემუშავებულა კონცეფციის დოკუმენტი სასჯელაღსრულების სისტემაში, პოლიციაში, სამხედრო და სხვა დახურულ დაწესებულებებში წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ განცხადებების გამოძიების ყოველმხრივი, დამოუკიდებლი და ეფექტიანი მექანიზმის შესახებ (ეს ვალდებულება გათვალისწინებული იყო ასოცირების დღის წესრიგის/ასოცირების შესახებ შეთანხმების განსახორციელებელ 2014, 2015 და 2016 წლების სამოქმედო გეგმებში).

საკითხი 3

სტრუქტურული რეფორმების განხორციელება და სახალხო დამცველის აპარატის „პრევენციის ეროვნული მექანიზმის“ მხარდაჭერა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების პრევენციისა და „პრევენციის ეროვნული მექანიზმის“ მიერ როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო დახურული დაწესებულებების მონიტორინგის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

საერთო შეფასება: შესრულდა

გაკეთდა: გაფართოვდა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის ფარგლები: მან მოიცვა პრობაციის ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფი თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებები; ეს საკითხი შეტანილი იქნა 2015 წლის ანგარიშში; ამჟამად პრევენციის ეროვნულ მექანიზმს შეუძლია ყველა დახურულ დაწესებულებაში, მათ შორის რელიგიური დაწესებულებების მიერ მართულ ბავშვთა სახლებში, შესვლა (ამ უკანასკნელების მონიტორინგი პირველად 2015 წელს განხორციელდა).

ხდებოდა სახალხო დამცველის აპარატის/პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშების განხორციელების მონიტორინგი. გაუმჯობესდა სახალხო დამცველის აპარატთან და პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან თანამშრომლობა, გამოიცა პარლამენტის დადგენილებები, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს ავალებდა მათთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულებას; პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ჩაატარა სხდომები აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ანგარიშვალდებულების დასადგენად. საჭიროა ამ პრაქტიკის გაგრძელება ახალი პარლამენტის მიერ.

პრევენციის ეროვნულ მექანიზმს 2016 წლის სექტემბრიდან მიეცა უფლება, ეწარმოებინა ციხეებში არსებული პირობებისა და პატიმართა დაზიანებების ფოტოგადაღება; ეს უნდა გაკეთდეს სხვა დახურულ დაწესებულებებშიც. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა გამოსცა სპეციალური ბრძანება №123 პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების შესახებ. პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებმა გაიარეს ფოტოგადაღების სპეციალური კურსი.

საკითხი 4

სასჯელაღსრულების სისტემის, პოლიციის, სამხედრო და სხვა დახურული დაწესებულებების ეფექტიანი შიდა და გარე მონიტორინგის შემდგომი გაძლიერება ძალადობისა და სასტიკად მოპყრობის ფაქტების ადრეული გამოვლენისა და მათი პრევენციის მიზნით.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: გაუმჯობესდა სისტემური მონიტორინგის დანაყოფის მიერ შიდა ინსპექტირების განხორციელების სისტემა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩატარდა რიგი თემატური მონიტორინგის ვიზიტებისა, რომლებიც მიზნად ისახავდა პატიმართა უფლებების დაცვის და ციხეების პერსონალის მიერ კანონებისა და რეგულაციების შესრულების მონიტორინგს. ანგარიშები სასჯელაღსრულების მინისტრს წარედგინა.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარეობს აუდიო-ვიდეო მონიტორინგის სისტემის მოდერნიზება; რამდენიმე ციხეში დამონტაჟდა ახალი ტიპის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა დაამტკიცა პატიმართა დაზიანებების გაერო-ს სტამბულის ოქმის მოთხოვნათა შესაბამისად დოკუმენტურად დაფიქსირების ახალი ფორმები და პროცედურები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში.

ციხეების სამედიცინო პერსონალისა და სხვა თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგები პატიმართა დაზიანებების ევროპული და გაერო-ს სტანდარტების შესაბამისად ეფექტიანად დოკუმენტურად დაფიქსირების საკითხებში (ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის პროექტის დახმარებით). სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ შემუშავდა.

არ გაკეთდა: ვიდეოჩანაწერები ციხეებში მხოლოდ 24 საათამდე ვადით ინახება, მიუხედავად სახალხო დამცველის რეკომენდაციებისა მათი უფრო ხანგრძლივი გონივრული პერიოდით შენახვის თაობაზე, რათა შესაძლებელი იყოს არასათანადოდ მოპყრობის შესახებ განცხადებების ეფექტიანი გამოძიება.

არ ჩამოყალიბებულა საზოგადოებრივი ზედამხედველობის დამოუკიდებელი მექანიზმი, მიუხედავად 2014 და 2015 წლების სამოქმედო გეგმებში მოცემული დებულებებისა.

საკითხი 5

სასჯელაღსრულების სისტემაში ჯანდაცვისა და პატიმრებისთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება. დახურულ დაწესებულებებში ან მსგავსი დაწესებულებებისთვის მომუშავე სამედიცინო პერსონალის უნარების განვითარება და მათთვის შესაძლებლობის მინიჭება, მონაწილეობა მიიღონ სასტიკი მოპყრობის დაგმობასა და შესაბამისი ინფორმაციის კომპეტენტური ორგანოებისთვის მიწოდებაში.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: 2015 წელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა დაამტკიცა ციხეებში ჯანდაცვის სტანდარტები, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა მკურნალობის დამატებითი სტანდარტები, პრევენციული ჯანდაცვის პაკეტი და იმ საბაზისო მედიკამენტების ჩამონათვალი, რომლებითაც პატიმრები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იქნებიან უზრუნველყოფილნი.

სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურება გაეწევათ პატიმართა შემდეგ კატეგორიებს:

- არასრულწლოვანებს;
- პატიმარ ქალებს;
- ორსულ და მეძუძურ პატიმარ ქალებს;
- პატიმრებს ვიქტიმიზაციის ისტორიით, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრებს.

გარკვეულად გაუმჯობესდა ელექტრონული მიმართვიანობის სისტემა, რომელიც სამედიცინო დაწესებულებებში პატიმართა გადაყვანის რეგულირებას ემსახურება; დაიხვეწა სამედიცინო ჩარევათა კლასიფიკაცია (დაგეგმილი, გადაუდებელი).

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში თანდათანობით ხდება სამედიცინო აპარატურის, მათ შორის სტომატოლოგიური აპარატურის, მოდერნიზება.

2015 წლის აგვისტოდან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მთავრობის დადგენილების (№169, 2015 წლის 20 აპრილი) შესაბამისად მიმდინარეობდა C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამა და პატიმრებს ეძლეოდათ მედიკამენტები. 2016 წლის 10 ივნისს დაიწყო C ჰეპატიტის აღმოფხვრის პროგრამა და 30 სექტემბერს 621 პაციენტს ციხეებში მიეცა დამტკიცებული მედიკამენტები. ჯანდაცვისა და სასჯელაღსრულების მინისტრების ახალი ბრძანებით დამტკიცდება პატიმრებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისა და

მედიკამენტებით მათი უზრუნველყოფის წესები C ჰეპატიტის აღმოფხვრის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

ციხეების ექიმებმა გაიარეს სწავლება კონფიდენციალურობის წესებთან და პატიმართა გამოკითხვის მითითებებთან დაკავშირებით.

შემუშავდა საოპერაციო მითითებები შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორებში მომუშავე სამედიცინო პერსონალისათვის.

არ გაკეთდა: ხშირად დავის საგანია რეალურად გაწეული სამედიცინო მომსახურების ეკვივალენტურობისა და ხარისხის საკითხი. კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრებისთვის დროული და შესაფერისი მომსახურების გაწევის საკითხი.

პროფესიული კავშირების უფლებები და ძირითადი შრომითი სტანდარტები

საკითხი 1

2013 წლის ივლისში, პარლამენტის მიერ მიღებული ახალი შრომის კოდექსის შესრულება, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტების შესაბამისად.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: საქართველოში მოქმედებს 2013 წელს მიღებული შრომის კოდექსი, რომელიც გახდა ერთ-ერთი საფუძველი საქართველოში შრომის ინსპექტირების მექანიზმის შექმნისა, კოლექტიური დავების გადაჭრისა და მოლაპარაკების მიზნით მედიაციის როლის განსაზღვრისა.

არ გაკეთდა: არ განხორციელებულა საჭირო ცვლილებები, რაც ხელს შეუწყობდა საქართველოს შრომის კოდექსის ეფექტიანად მუშაობას და აღმოფხვრიდა მასში არსებულ ხარვეზებს. ცვლილებების განხორციელება საჭიროა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების იმპლემენტაციისთვის, რადგან საქართველოს ორგანულ კანონში „შრომის კოდექსის შესახებ“ არსებობს ნორმები, რომლებიც დახვეწას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს. ამას გარდა რიგი საკითხები საერთოდ არ რეგულირდება, რაც გამოსწორებას საჭიროებს.

საკითხი 2

ახალი შრომის კოდექსის ახალი ინსტიტუტებითა და პროცედურებით გამაგრება, დავების გადაჭრისა და მოლაპარაკების კულტურის (მედიაციის ცენტრის) განვითარებისთვის. ასევე, სამუშაო გარემოს უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე ყურადღების გამახვილება და ისეთი მექანიზმებისა და ინსტიტუტების შექმნა, რომელთაც ექნებათ ადეკვატური პოტენციალი სამუშაო პირობების შესამოწმებლად, ახალი შრომის კოდექსისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

- მედიაციის ცენტრი - საქართველოს შრომის კოდექსი არეგულირებს კოლექტიური დავების გადაჭრის წესს, თუმცა ეს რეგულირება საკანონმდებლო დონეზე მაინც საჭიროებს სრულყოფას. 8 მედიატორი თანამშრომლობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრთან. ისინი მონაწილეობას იღებენ დავების გადაჭრაში, როგორც მინისტრის წარმომადგენლები; გადამზადდნენ მედიატორები, არსებობს სამუშაო გამოცდილება და მედიატორთა მომსახურების პრაქტიკაში გამოყენება კოლექტიური დავების გადაჭრის მიზნით. სტატისტიკის მიხედვით 2014-2016 წლებში დაახლოებით 25 დავაში მიიღეს მონაწილეობა;

- შრომის ინსპექტირება - 2015 წლის 21 აპრილს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ფუნქციაა სამუშაო პირობების მონიტორინგი და შრომის კანონმდებლობის ნორმების დაცვა. 2016 წლის 18 იანვრის #19 დადგენილებით დამტკიცდა შრომის პირობების ინსპექტირების პროგრამა და განისაზღვრა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის საქმიანობის წესი.

არ გაკეთდა:

- მედიაციის წარმოება - მიუხედავად იმისა, რომ რიგ საქმეებში იქნა გამოყენებული და უმეტესი მათგანი დასრულდა წარმატებით, უნდა აღინიშნოს, რომ მედიატორთა საქმიანობა შრომით ურთიერთობებში არ არის დეტალურად გაწერილი საკანონმდებლო დონეზე. არ არსებობს სრულყოფილი მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა. სახელწიფოს მხრიდან მედიაციის ერთინი რეესტრი არ არის დამტკიცებული; ეს ყოველივე კი ეჭვქვეშ აყენებს მედიაციის, როგორც კოლექტიური დავების გადაჭრის მექანიზმის ეფექტურობას. ამ ინსტიტუტის განვითარება მეტწილად დამოკიდებულია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე და სახელმწიფო ინსტიტუტების მხარდაჭერაზე. შესაძლოა ითქვას, რომ კოლექტიური დავების გადაჭრისა და მოლაპარაკებების კულტურის განვითარების ხელშეწყობა, მხოლოდ ფორმალურად შესრულდა;
- შრომის პირობების ინსპექტირების შექმნილი მექანიზმი თავისი ფუნქციებით და სამოქმედო პრინციპებით, არ შეიძლება შეფასდეს ეფექტიანად. არ არსებობს მისი საქმიანობის სრულყოფილად მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა. დეპარტამენტში ამჟამად სპეციალურად მომზადებული მხოლოდ 25 მონიტორი საქმიანობს. შრომის ინსპექტირების მექნიზმი ფოკუსირებულია მხოლოდ სამუშაოს უსაფრთხოებაზე. მას არ გააჩნია სანქცირების მექანიზმი, არ შეუძლია განახორციელოს მონიტორინგი საკუთარი სურვილის შესაბამისად, მეწარმე სუბიექტის წინასწარი გაფრთხილებისა და მისი თანხმობის გარეშე, მის მიერ მომზადებული რეკომენდაციები შესასრულებლად არ არის სავალდებულო, დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი დარღვევების და მიცემული რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია დახურულია.

საკითხი 3

ეფექტიანი სოციალური დიალოგის ჩამოყალიბება, მათ შორის, სამმხრივი კომისიის სისტემატური მოწვევის გზით.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, პრემიერ მინისტრის გადაწყვეტილებით, პრემიერის აპარატიდან გადაეცა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სამდივნოს ფუნქცია, რის შედეგადაც სავარაუდოდ უნდა გააქტიურდეს კომისიის საქმიანობაც;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიცირებით შეიქმნა კომისიის სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც მზადდება კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები. ჯგუფში ჩართულნი არიან სოციალური პარტნიორები, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- 2016 წლის 11 აპრილს გამართულ სამმხრივი კომისიის სხდომაზე დამტკიცდა სამოქმედო გეგმა.

არ გაკეთდა: ვერ ჩამოყალიბდა ეფექტიანი დიალოგი სოციალურ პარტნიორებს შორის, ვინაიდან სამმხრივი კომისიის შეხვედრები არ შემდგარა. აღსანიშნავია, რომ სამი წლის მანძილზე სამმხრივი კომისია არათუ კვარტალში ერთხელ, წელიწადში ერთხელაც კი არ შეკრებილა. შექმნის დღიდან სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შეხვედრა შედგა მხოლოდ ორჯერ: 2013 წლის 1 მაისსა და 2016 წლის 11 აპრილს, შესაბამისად უნდა აღინიშნოს, რომ 2014-2016 წლებში კომისიის მხოლოდ ერთი შეკრება მოხდა.

საკითხი 4

საკითხი 4: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ILO) დიალოგისა და თანამშრომლობის გაგრძელება და გაღრმავება.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის უშუალო მხარდაჭერითა და ჩართულობით გადამზადდა 25 შერჩეული მონიტორი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით შექმნილ სხვადასხვა სამუშაო ჯგუფში ჩართულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი. ამას გარდა, მიმდინარე რეფორმების მხარდასაჭერად შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ატარებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს და ხელს უწყობს თავის მხრივ თანამშრომლობის გაღრმავებას.

არ გაკეთდა: დაახლოებით 10 წელზე მეტია საქართველოს მხრიდან არ მომხდარა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციათა ხელმოწერა და რატიფიცირება; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან დაახლოების მიზნით მნიშვნელოვანია მისი სტანდარდების დამკვიდრება ქვეყანაში, ეს უნდა მოხდეს კონვენციებისა და წესების ხელმოწერითა და რატიფიცირებით, საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებით, სხვა სტრატეგიული კომუნიკაციისა და თანამშრომლობის წარმოებით, რაც არ გაკეთებულა. დღემდე არ არის ხელმოწერილი და რატიფიცირებული ისეთი მნიშვნელოვანი კონვენციები, როგორიცაა #131 კონვენცია მინიმალური ანაზღაურების შესახებ, #183 კონვენცია დედობის დაცვის შესახებ, #176 კონვენცია მაღაროებში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, #144 კონვენცია სამმხრივი კონსულტაციების შესახებ.

თანასწორი მოპყრობა

საკითხი 1

გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება და სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

ასოცირების შესახებ შეთანხმების ტექსტი მოიცავს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა ასპექტს, თუმცა თავის ეროვნულ სამოქმედო გეგმებში მთავრობამ კონკრეტული ზომები მხოლოდ თავდაცვის სამინისტროსთვის და მართლმსაჯულების სისტემისთვის გაითვალისწინა, კერძოდ, ეს ზომები გულისხმობდა თავდაცვის სამინისტროს გენდერული სამოქმედო გეგმის განხორციელებას და გენდერულ საკითხებზე ტრენინგებს მოსამართლეთათვის. მართალია, დაგეგმილი ზომები განხორციელდა, მაგრამ ეს არანაირად არ შეესაბამება ასოცირების დღის წესრიგს, რომელიც ეხება მამაკაცებისა და ქალების თანასწორობას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

საქართველოში პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობა უკიდურესად დაბალია: საქართველოს პარლამენტში 2016 წლის არჩევნების შემდეგ ქალი პარლამენტარების რაოდენობა საერთო რაოდენობის 14%-ს შეადგენს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალები 11%-ს წარმოადგენენ. არცერთი მერი არ არის ქალი და არც რომელიმე გუბერნატორია ქალი. ადგილობრივი მუნიციპალიტეტების 69 ხელმძღვანელიდან მხოლოდ ერთია ქალი. 2016 წელს ვერ მოხერხდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო გენდერული კვოტების შესახებ კანონპროექტების შემუშავება. ანალოგიურად, არ არსებობს კონკრეტული სტრატეგია, პოლიტიკა თუ პროგრამები ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის. თუ საქართველოს მთავრობა გეგმავს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას, მან უნდა შეიმუშაოს სახელმწიფო სტრატეგია საქართველოში მამაკაცებისა და ქალების de facto უთანასწორობის აღმოფხვრისკენ მიმართული რეფორმების წამოსაწყებად.

საკითხი 2

ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესები, ორსულთა უფლებების დაცვის წესები, მშობლისა და პროფესიული ვალდებულებების შეთავსების წესები, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

საერთო შეფასება: არ შესრულდა

ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებით 2014-2016 წლებში საქართველოში შემუშავებული არცერთი ეროვნული სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს რაიმე ზომებს, რომლებიც გულისხმობს ორსული, ახალნამშობიარევი და მეძუძური ქალების დაცვას და მშობლისა და პროფესიული ვალდებულებების შეთავსების ხელშეწყობას. სახელმწიფოს მიერ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ხსენებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე. შესაბამისად, მიჩნეულია, რომ ორსული, ახალნამშობიარევი და მეძუძური ქალების დაცვისა და მშობლების დაცვის შესახებ ნაწილი არ არის შესრულებული. მთავრობამ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ორსული, ახალნამშობიარევი და მეძუძური ქალების დაცვასა და მშობლების დაცვასთან დაკავშირებული უსაფრთხოების წესები.

ორსული, ახალნამშობიარევი და მეძუძური ქალების დაცვასთან დაკავშირებული ყველა პოზიტიური ცვლილება 2014 წლამდე განხორციელდა. საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული სავალდებულო დეკრეტული შვებულება ქალებისათვის. დედების დახმარება უკიდურესად დაბალია და მას ყველა ორსულ ქალს არ უხდიან. მშობელთა დაცვის სტანდარტები საქართველოში ძალზე განუვითარებელია.

საკითხი 3

ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის იმპლემენტაციის გაძლიერება, მათ შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობადობის ამაღლება როგორც ზოგადად მოსახლეობაში, ისე სპეციფიურ პროფესიულ ჯგუფებში, როგორიცაა პოლიცია, და განსაკუთრებით სოფლებსა და უმცირესობების დასახლების ადგილებში. მსხვერპლთათვის საკონსულტაციო მომსახურებებსა და თავშესაფრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

საერთო შეფასება: შესრულდა

2015-2016 წლებში საქართველოში დაიხვეწა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა. ასევე გაუმჯობესდა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული კანონების აღსრულებაც: მნიშვნელოვნად გაიზარდა გამოძიებათა და პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა. შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველწლიურად ატარებს საინფორმაციო კამპანიებს ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით. 2016 წელს სახელმწიფომ დააარსა კრიზისული ცენტრი და შედეგად მსხვერპლებს უფრო მეტად მიუწვდებათ ხელი თავშესაფრებზე.

ამჟამად ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის საკითხში სუსტ მხარეს სოციალური საქმიანობა წარმოადგენს. მთელ სახელმწიფოში მხოლოდ 265 სოციალური მუშაკია, რომელთაც, გარდა ოჯახში ძალადობის საკითხებისა, მრავალი ფუნქცია აკისრიათ. მთავრობამ უნდა დაასაქმოს მეტი პროფესიონალი სოციალური მუშაკი და გამოყოს საკმარისი ბიუჯეტი სოციალურ მუშაკთა საქმიანობის რეფორმირებისათვის. გარდა ამისა, მთავრობამ უნდა შეიმუშაოს პრევენციული მექანიზმები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ.

ბავშვთა
უფლებების დაცვა

საკითხი 1

ბავშვთა სიღარიბის წინააღმდეგ შესაბამისი ზომების მიღება და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვებისთვის შედარებით მაღალი პრიორიტეტის მინიჭება.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

- ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგიისა და ადმინისტრირების სქემის დანერგვა, სადაც მეტადაა გათვალისწინებული ბავშვის საჭიროებები.
- 2015 წლის მაისიდან, სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა/შეფასება ხორციელდება ახალი მეთოდოლოგიისა და ადმინისტრირების ახალი წესების გამოყენებით. ასევე, შემუშავდა სოციალური დახმარების ადმინისტრირების ახალი წესები.
- ანტისოციალური/დელიკვენტური ქცევის მქონე ბავშვების განვითარებისთვის ახალგაზრდული კლუბის, როგორც ხელსაყრელი კეთილგანწყობილი სივრცის, მენეჯმენტი და განვითარება.

არ გაკეთდა:

- ბავშვთა სიღარიბის შესამცირებლად შემუშავებული ახალი მეთოდოლოგია, როგორც გაეროს ბავშვთა ფონდის უახლესი, 2016 წელს გამოცემული „ოჯახების კეთილდღეობის კვლევა“[3], გვიჩვენებს, სრულად არ პასუხობს ბავშვთა საჭიროებებს, ვინაიდან სიღარიბის მაჩვენებლები, მოსახლეობის სხვა ჯგუფებთან შედარებით, კვლავაც ყველაზე მაღალია ბავშვებთან მიმართებაში.
- განსაკუთრებულ მოწყვლად ჯგუფად არ ჩაითვალა და შესაბამისი ზომები არ გატარდა ბავშვთა ისეთ მოწყვლად ჯგუფებზე, როგორიცაა: ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, იძულებით გადაადგილებული ბავშვები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვები და სხვა ჯგუფები.

3 გაეროს ბავშვთა ფონდი (2015). მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა. http://unicef.ge/uploads/Welfare_Monitoring_Survey_Georgia-GEO_WEB.pdf

საკითხი 2

ძალადობის ყველა ფორმისგან ბავშვების დასაცავად შესაბამის ზომებზე ყურადღების გამახვილება.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

- განახლდა ბავშვთა ძალადობისგან დაცვის რეფერირების (მიმართვიანობის) საკანონმდებლო ბაზა.
- ფუნქციონირებს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა მომსახურებები.
- სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მომსახურებისათვის შექმნილია კრიზისული ცენტრი.

არ გაკეთდა:

- ბავშვთა ძალადობის რეფერირების საკანონმდებლო ბაზის განახლება არ აისახება პრაქტიკაში. აღინიშნება კოორდინაციის ნაკლებობა მომსახურებებს შორის, რესურსების არასწორი ხარჯვა.
- სახელმწიფო უწყების მხრიდან ბავშვისთვის აუცილებელი სერვისის მიწოდებაზე უარის თქმა, ჯერ კიდევ არ კვალიფიცირდება სისტემის მხრიდან განხორციელებულ უგულებელყოფად, ანუ - სისტემურ ძალადობად.
- ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვების მიმართ განხორციელებული ღონისძიებები წარმოადგენს გაცილებით დიდი და სისტემური პრობლემის გადაფარვის მცდელობას. არ განხორციელებულა: (ა) ამ ბავშვების სტატისტიკის შეგროვება, (ბ) საჭიროებების კვლევა, (გ) დანერგილი სერვისებისა და დახარჯული ფინანსების ეფექტურობის კვლევა და მონიტორინგი.
- ქუჩაში მომუშავე და მცხოვრებ ბავშვებთან მუშაობის დროს, ყურადღების ხელოვნური გადატანა ხდება სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე, მაშინ, როდესაც ქუჩაში მყოფი რამდენიმე ათასი ბავშვის მიმართ, ჩადენილია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაული (ტრეფიკინგი, სექსუალური ექსპლუატაცია, ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში და სხვა). სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ყველა ღონისძიება ამ ბავშვებთან მიმართებაში, არის სწრაფი, მოკლევადიანი და ერთჯერადი; არ ხდება ყურადღების გამახვილება ბავშვების ქუჩაში აღმოჩენის წყარო - მიზეზებზე, მათი მშობლების დასაქმებასა და ცხოვრების პირობებით უზრუნველყოფაზე, როგორც ეს მოთხოვნილია გაეროს სპეციალურ მოხსენებაში საქართველოსთან მიმართებით[4].
- შექმნილი კრიზისული ცენტრის მუშაობა არაეფექტურია, არ დამტკიცებულა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მომსახურების სტანდარტი, არ არის უზრუნველყოფილი გაწეული სერვისების ეფექტურობის შეფასების მონიტორინგი, ხოლო, სოციალური სამსახურის მხრიდან, არაკოორდინირებული მუშაობის გამო, არ ხდება სახელმწიფო ფონდის თავშესაფრებში ბავშვების გადამისამართება მათთვის სერვისის უზრუნველსაყოფად.

4 გაეროს სპეციალური მომხსენებელის ბავშვთა გაყიდვის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხებში მო დე ბოერ-ბუკიკიოს საქართველოში ვიზიტის ანგარიში (ხელმისაწვდომია 18.01.2017). http://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=19836&LangID=E

საკითხი 3

ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ბავშვთა უფლებების თვალსაჩინოდ ჩართვა.

შეფასება: ნაწილობრივ გაკეთდა

გაკეთდა:

- ბავშვთა დაცვისა და დახმარების სისტემის გაუმჯობესება;
- სოციალური მომსახურების განვითარება პროგრამული სერვისების გაუმჯობესების გზით;
- ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება;
- ხარისხიანი და ინკლუზიური განათლება ყველა ბავშვისათვის;
- ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა;
- ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება.

არ გაკეთდა:

- სამოქმედო გეგმაში იდენტიფიცირებული პრობლემური საკითხები ბავშვთა უფლებების სფეროში არ ეყრდნობა სფეროში ჩატარებულ კვლევას, სიტუაციურ ანალიზს. საკითხები შერჩეულია პასუხისმგებელი უწყებების მიერ შედარებით ადვილად შესასრულებელი ამოცანების მოწოდებით და არა ბავშვთა რეალური საჭიროებების გათვალისწინებით.
- სამოქმედო გეგმა არ მოიცავს: (1) ბავშვების ყველა ჯგუფის და ცხოვრების ყველა ეტაპზე სრულფასოვანი სტატისტიკის წარმოება და შესაბამისი მექანიზმების დანერგვა; (2) ბავშვთა სიღარიბესთან ბრძოლის რეალური მექანიზმების შემუშავება; (3) ასაკის ნიშნით, ასევე სხვა ნიშნებით ბავშვთა დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრა; (4) ბავშვთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შეფასება და გაძლიერება; (5) ბავშვთა კეთილდღეობისა და ძალადობისგან დაცვის სფეროში ახალი მომსახურებების შექმნა (ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაცია, ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდამჭერი სერვისების შექმნა); (6) ე.წ. ჩრდილოვანი ბავშვთა სახლების სრულად დახურვისა და ალტერნატიული, საოჯახი სერვისების შექმნა; (7) ბავშვთა სხეულებრივი სასჯელის აკრძალვა; (8) ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე პროფესიონალების (სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების, ფსიქიატრების, ოკუპაციური თერაპევტების, ქცევის, მეტყველების, ფიზიო თერაპევტების) რაოდენობის გაზრდა; (9) ბავშვთა მომსახურებების ხარისხის მართვის მექანიზმების დანერგვა.

საკითხი 4

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება, რათა დაცულ იქნას ბავშვთა უფლებები.

შეფასება: შესრულდა

გაკეთდა:

- 2015 წელს მიღებულ იქნა და ძალაში შევიდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;
- 2016 წლის 1 თებერვალს, გამოიცა იუსტიციის მინისტრის №120 ბრძანება „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის, 2016 წლის 15 მარტის, ერთობლივი, №132/№95/№23, ბრძანებით დამტკიცდა არასრულწლოვანთა საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი;
- 2016 წლის 1 იანვრიდან შინაპატიმრობა გამოიყენება არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ;
- 2016 წლის 1 იანვრიდან, ამოქმედდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“.

საკითხი 5

სახალხო დამცველის როლის გაძლიერება და მისი შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა, ბავშვთა საკითხებზე მუშაობისა და შესაბამის ინსტიტუტებში არსებული სიტუაციის მონიტორინგის გაძლიერების მიზნით.

შეფასება: შესრულდა

გაკეთდა:

- ჩატარებულია ბავშვის უფლებების შესახებ საგანმანათლებლო კამპანია მრჩეველთა საბჭოს ფარგლებში თბილისსა და რეგიონებში.
- მომზადებულია შესაბამისი თავი საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშისთვის ბავშვთა უფლებების შესახებ. განხორციელებულია ადამიანის უფლებათა ეროვნულ სამოქმედო გეგმაში ბავშვის უფლებების განხორციელების სისტემური მონიტორინგი.
- განხორციელებულია სახელმწიფო ინსტიტუციების მონიტორინგი არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის შესამოწმებლად.
- განხორციელებულია ბავშვზე ზრუნვის განმახორციელებელი სახელმწიფო/პენიტენციალური სისტემის მონიტორიგი.

კონფლიქტის
მშვიდობიანი მოგვარება

საკითხი 1

2008 წლის 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმებისა და მისი შემდგომი განხორციელების ზომების სრულად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ძალისხმევის გაგრძელება.

საერთო შეფასება: შესრულდა.

გაკეთდა: დარღვევებზე რეაგირება და მათი განხილვა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეებზე. ვინაიდან მხარეთა (ევროკავშირი და საქართველო) შესაძლებლობებს, სრულად მოგვარდეს პრობლემა, ხელს უშლის რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ნების უქონლობა, ამ მიმართულებით გაწეული ძალისხმევის ინდიკატორებია: რუსეთის მხრიდან დარღვევებზე მუდმივი და სისტემატური რეაგირება და საერთაშორისო თანამეგობრობის, ფორუმების და ორგანიზაციების (გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო) ინფორმირება ამ დარღვევების შესახებ.

მხარეთა (ევროკავშირი და საქართველო) შორის არსებობს ურთიერთგაგება ექვსპუნქტიანი შეთანხმების დარღვევებთან დაკავშირებით. როგორც ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების საბჭოს მე-3 შეხვედრის ერთობლივ პრესრელიზშია (02/12/2016) აღნიშნული: „ასოცირების საბჭომ მოუწოდა რუსეთის ფედერაციას შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები და მათ განსახორიელებლად 2008 წლის 8 სექტემბერს შეთანხმებული მომდევნო ზომები და დაუშვას ევროკავშირის მონიტორინგის მისია საქართველოს რეგიონებში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში.“

საკითხი 2

ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს თანათავმჯდომარეობით მიმდინარე ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში კონსტრუქციული მონაწილეობის შენარჩუნება და მისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

საერთო შეფასება: შესრულდა

გაკეთდა: საქართველოს კონსულტაციები ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს წარმომადგენელ თანათავმჯდომარეებთან ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში რეგულარულ ხასიათს ატარებს, რომელთა მიზანიც არის შეხვედრების დღის წესრიგის შესრულებაზე რუსეთთან მოლაპარაკებებში თანათავმჯდომარეების მხარდაჭერის მოპოვება.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში გაეროს და ეუთოს მისიების შეწყვეტის შედეგად ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები ერთადერთ პლატფორმად რჩება, სადაც ყველა დაინტერესებულ მხარეს კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების და ჰუმანიტარული საკითხების განხილვა შეუძლია.

მას შემდეგ, რაც ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი 2009 წელს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მე-4 რაუნდზე შეიქმნა, მის ფარგლებში 72 შეხვედრა ჩატარდა ერგნეთში (ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი). ეს შეხვედრები შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს, რეგულარულად განიხილონ კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის პრობლემები, განსაზღვრონ უსაფრთხოების პოტენციური რისკები, მოაგვარონ ინციდენტები და გაცვალონ ინფორმაცია. შეხვედრების ჩატარებას ხელს უწყობენ საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის და ეუთოს წარმომადგენლები.

პარტნიორების კონსტრუქციული მიდგომის შედეგად, 2016 წლის მაისში განახლდა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები გალში (აფხაზეთის მიმართულება), რომლებიც 2009 წლიდან ტარდებოდა და 2012 წელს შეწყდა.

ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების საბჭომ (2016 წელი) „ხაზი გაუსვა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებათა ფორმატის უაღრესად დიდ მნიშვნელობას საქართველოში კონფლიქტის შედეგად წარმოშობილ გამოწვევებთან გასამკლავებლად და მათ საბოლოოდ გადასაჭრელად. ასოცირების საბჭო ასევე შეთანხმდა, რომ ინციდენტთა პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების სრულად ფუნქციონირება აუცილებელია ადგილზე ნდობის, პროგნოზირების და გამჭვირვალობის დონის ასამაღლებლად.“

საკითხი 3

ქმედითი საერთაშორისო ჩართულობის, მათ შორის, საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის სრულფასოვნად შესრულების მნიშვნელობის ხაზგასმა.

საერთო შეფასება: შესრულდა.

გაკეთდა: გაგრძელდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატი. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატი საქართველოში სრულფასოვნად ვერ სრულდება, რადგან საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს ქვეყნის მთელ ტერიტორიას, ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების საბჭომ ხაზი გაუსვა სადამკვირვებლო მისიის მნიშვნელოვან წვლილს ადგილზე უსაფრთხოების და სტაბილურობის შენარჩუნებაში.

ევროკავშირის საბჭომ გაუგრძელა მანდატი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას საქართველოში 2018 წლის 14 დეკემბრამდე და ასევე გამოუყო 18 მილიონი ევროს ოდენობის ბიუჯეტი 2016 წლის 15 დეკემბრიდან 2017 წლის 14 დეკემბრამდე პერიოდისთვის.

საკითხი 4

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის შენარჩუნება კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით, შეთანხმებულ ფორმატებში, მათ შორის, კონსულტაციების გამართვა, საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და ცხვინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავების პროცესში შესაბამისად ჩასართავად გზების მოძიების მიზნით.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა.

გაკეთდა: ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმებული ფორმატის ფარგლებში დიალოგი დამყარდა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან. აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებების მზადყოფნა, ითანამშრომლონ პარტნიორებთან (ევროკავშირსა და საქართველოსთან) და ასეთი თანამშრომლობის მიმღებლობის ხარისხი განსხვავებულია. სამხრეთ ოსეთს, რომელსაც აფხაზეთთან შედარებით უფრო მჭიდრო პოლიტიკური კავშირი აქვს რუსეთთან, საზღვრები უფრო ჩაკეტილი აქვს და იგი თითქმის ყველა ფორმის ურთიერთობას ეწინააღმდეგება.

სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ფართო მანდატი შესაძლებელს ხდის ოფიციალური პირების აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჩასვლას და დე ფაქტო ხელისუფლებებთან ურთიერთობას. 2016 წელს, სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ჰერბერტ სალბერის მითითებით, შვედი პოლიტიკოსი და უფლებადამცველი ბატონი თომას ჰამამბერგი ორჯერ ეწვია აფხაზეთს დამოუკიდებელი ექსპერტის სტატუსით, რათა შეეფასებინა იქ არსებული მდგომარეობა ადამიანის უფლებების მხრივ. როგორც გაცხადებული იქნა „მისიას ჰუმანიტარულ მიზანს ემსახურებოდა და ის არაღიარების და ჩართულობის ევროკავშირის პოლიტიკის ფარგლებში განხორციელდა. ეს აქტივობა განხილული უნდა იქნეს როგორც ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებაში აფხაზეთის ჩასართავად გზების მოძიების მცდელობა.“

არ გაკეთდა: ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან მიმართებით ზემოხსენებული აქტივობები არ განხორციელებულა.

საკითხი 5

კონფლიქტის მოგვარების საკითხზე ევროკავშირსა და საქართველოს შორის ეფექტიანი თანამშრომლობისა და კოორდინაციის ინტენსიფიკაცია, მათ შორის, რეგულარული პოლიტიკური დიალოგის წარმოების გზით.

საერთო შეფასება: შესრულდა.

გაკეთდა: 2015 წლის აპრილში, ბრიუსელში, ევროკავშირისა და საქართველოს ოფიციალურ პირებს შორის გაიმართა „სტრატეგიული დიალოგის“ შეხვედრა კონფლიქტის მოგვარებასა და აღიარების გარეშე ჩართულობის საკითხებზე. პარტნიორები შეთანხმდნენ შეხვედრის არაფორმალურ ფორმატზე, ასევე დისკუსიის დეტალების საზოგადოებისთვის გაუხმაურებლობაზე. ეს შეხვედრა გაიმართა როგორც ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების საბჭოსა და ევროკავშირ-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის წლიური სხდომების დამატებითი შეხვედრა, რომლებზეც პარტნიორები, სხვა საკითხებს შორის, კონფლიქტის მოგვარების საკითხებსაც განიხილავენ.

საკითხი 6

კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით, გაწეული ძალისხმევის მხარდაჭერა, მათ შორის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან კონტაქტების დამყარების გზით, საქართველოს შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკისა და ევროკავშირის არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკის ჭრილში, რომელზეც ისინი თანამშრომლობენ.

საერთო შეფასება: შესრულდა.

გაკეთდა:

- უფასო სამედიცინო დახმარების რეფერალური პროგრამა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის;
- სპეციალური განათლების პროგრამები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის ხარისხიანი პროფესიული განათლების მისაღებად და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოგზაურობისთვის. ასევე, განათლების მიღების გაგრძელება და სამეცნიერო მუშაობა ამერიკის, ევროპის და აზიის უნივერსიტეტებში სრული ან ნაწილობრივი დაფინანსების მეშვეობით;
- სამედიცინო მარაგებით უზრუნველყოფის პროგრამა აფხაზეთისთვის სამეკავშირეო მექანიზმის მეშვეობით.
- 1+4 პროგრამა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვისთვის.

ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების საბჭო შეთანხმდა, რომ მნიშვნელოვანია ისეთი ფართო პოლიტიკის გაგრძელება და გააქტიურება, რომელიც მთელ საზოგადოებას მოიცავს. საბჭომ მოუწოდა საქართველოს, გააგრძელოს მოსახლეობისთვის დახმარების გაწევის ძალისხმევა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

საკითხი 7

ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიღმა, ვაჭრობის, მოგზაურობისა და ინვესტიციების წახალისების მიზნით, შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის, კანონმდებლობის გადახედვა, როგორიცაა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონი.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა.

გაკეთდა: აფხაზეთთან გამყოფი ხაზის სიახლოვეს გაიხსნა მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი, რომელიც წაახალისებს ვაჭრობას ადმინისტრაციული ხაზის გასწვრივ. ამავე შენობაში განთავსებულია იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრი სერვისების სრული პაკეტით. ამავე ადგილას შენდება მრავალფუნქციური სამედიცინო მომსახურების ცენტრი (დასრულდება 2017 წელს).

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არ არსებობს რაიმე იურიდიული ან რეალური ბარიერი საქონლისა და პროდუქტების მოძრაობისთვის აფხაზეთის მიმართულებით. აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებები ასეთ მოძრაობას უკანონოდ მიიჩნევენ.

არ გაკეთდა: არ მომხდარა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის გადახედვა.

საკითხი 8

საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, ყველა იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილის თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების მიმართულებით მუშაობა.

საერთო შეფასება: შესრულდა

გაკეთდა: გაეროს გენერალური ასამბლეა ყოველწლიურად იღებს რეზოლუციას, რომლითაც დასტურდება საქართველოს აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლება, დაბრუნდნენ თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას; ასე მოხდა 2014-2016 წლების ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრულ პერიოდშიც.

საკითხი 9

კონფლიქტის მდგრადი მოგვარების მიმართულებით და არსებული ფორმატების შეულახავად, ნაბიჯების გადადგმა კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად; კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი იქნება მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგის დღის წესრიგსა და სხვა შესაბამის სერთაშორისო პარტნიორებთან დიალოგში.

საერთო შეფასება: შესრულდა.

გაკეთდა: კონფლიქტის მოგვარების საკითხი ერთ-ერთი პრიორიტეტია პარტნიორებისთვის როგორც მხარეებს შორის ორმხრივ დიალოგში, ასევე საერთაშორისო აქტორებთან დიალოგში. როგორც ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების საბჭოს 2016 წლის ერთობლივ პრესრელიზში აღინიშნა: „ევროკავშირი მზადაა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტი ყოვლისმომცველი მიდგომის საფუძველზე, არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკის ჩათვლით. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში კრიზისის საკითხში, ევროკავშირის თანათავმჯდომარეობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში და ევროკავშირის მონიტორინგის მისია საქართველოში ამ მხარდაჭერის ნათელ და მტკიცე მაგალითებს წარმოადგენს.“

საკითხი 10

საქართველო-ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგის, პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებიდან, მათ შორის ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარგებელისა და შესაძლებლობების, ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიღმა მცხოვრები მოსახლეობისთვის გაზიარების მიზნით, შესაბამისი გზების მოძიება.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის საინფორმაციო კამპანიის ჩატარება საქართველო-ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგის, პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებიდან გამომდინარე სარგებლის შესახებ.

არ გაკეთდა: ზემოხსენებული კამპანია არ ჩატარებულა საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი არ გახსნილა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში.

საკითხი 11

კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებულ საზოგადოებებში, ხალხთა შორის კონტაქტების, ნდობის აღდგენისა და შერიგების ძალისხმევის გაძლიერების მიზნით, ზომების გატარება.

საერთო შეფასება: შესრულდა

გაკეთდა:

- ნდობის აღდგენისა და ადრეული რეაგირების მექანიზმის (COBERM)[5] და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით განხორციელდა პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს ნდობის და ხალხთა შორის კონტაქტების აღდგენას;
- გაიმართა ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური არაფორმალური დიალოგი-შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების და პოლიტიკოსების მონაწილეობით;
- განხორციელდა პროექტი იძულებით გადაადგილებული პირების მონაწილეობით, რათა ხელი შეეწყოს ქართულ-აფხაზურ, ქართულ-ოსურ არაფორმალურ დიალოგს.

ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების საბჭომ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრებ ადამიანებს შორის კონტაქტების გაფართოების და ნდობის აღდგენისკენ მიმართული ღონისძიებების შემდგომი მხარდაჭერა კონფლიქტით დაზარალებულ თემებში, ასევე შერიგებისკენ მიმართული ძალისხმევის წახალისება.

5 ნდობის აღდგენისა და ადრეული რეაგირების მექანიზმი **(COBERM)** არის აპოლიტიკური, მიუკერძოებელი და მოქნილი პროგრამა, რომელსაც ევროკავშირის დაფინანსებით ახორციელებს გაერო-ს განვითარების პროგრამა. **COBERM**-ის ამოცანაა, გააუმჯობესოს ხელშემწყობი გარემო კონფლიქტით დაზარალებული თემებისათვის. პროგრამის ფარგლებში ხდება ადგილობრივ საჭიროებებზე რეაგირება და ისეთი ინიციატივების ხელშეწყობა, რომლებიც მიმართულია სოციალური ერთობის და ნდობის აღდგენისაკენ, რაც ხელს უწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას.

თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში

საკითხი 1

მუშაობა ევროპული სტანდარტების შესაბამისად მედიის დამოუკიდებლობისა და პროფესიონალიზმის მხარდაჭერისა და ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, აუდიოვიზუალურ სფეროში კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიმართულებით, მათ შორის აუდიოვიზუალურ პოლიტიკასა და შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებზე, რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღდეგ ბრძოლის ჩათვლით, მოსაზრებების გაცვლის გზით.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

- 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით დეკემბრისთვის დაიგეგმა "საქართველოს კანონმდებლობასა და ევროკავშირის აუდიოვიზუალური მომსახურების დირექტივას შორის შეუსაბამობების გათვალისწინებით საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება" და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა. 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ბოლო გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, რომელიც 9 თვეს მოიცავს, მიმდინარეობს კანონმდებლობებს შორის არსებული შეუსაბამობების ანგარიშის მომზადება.
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, საქართველოს მთავრობის მხრიდან, 2015 წელს გადადგა ნაბიჯები ევროკავშირის №2010/13/EU დირექტივის (აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების დირექტივა) განსახორციელებლად. 2015 წლის 1 აპრილს ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილებებით რეკლამისა და მაუწყებლობის შესახებ კანონებში, შეიცვალა რეკლამასთან დაკავშირებული რეგულაციები, კერძოდ სატელევიზიო სარეკლამო დრო 12 წუთამდე შეიზღუდა საათში.
- 2015 წლის 1 აპრილს ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილებებით რეკლამისა და მაუწყებლობის შესახებ კანონებში, შეიცვალა ტელეშოფინგთან დაკავშირებული რეგულაციები, კერძოდ მაუწყებლის ეთერში ტელეშოფინგის ჩართვა 12 წუთამდე შეიზღუდა სამაუწყებლო საათში. ამასთან, ერთმანეთისგან გაიმიჯნა Teleshoping Spot-სა (ტელეშოპინგის სახე, რომელიც სარეკლამო წყვეტაში ინტეგრირებულია როგორც კომერციული რეკლამა) და Teleshopping Windows-თან (ტელეშოპინგის სახე, რომელიც ეთერში გადის როგორც სამაუწყებლო პროგრამა და რომლის ხანგრძლივობა აღემატება 15 წუთს) დაკავშირებული რეგულაციები (AVMS დირექტივის 23-ე და 24-ე მუხლები).
- 2015 წლის 1 აპრილს ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილებებით კანონებში რეკლამისა და მაუწყებლობის შესახებ სასპონსორო მომსახურებისთვის გამოყოფილი სატელევიზიო დრო შემცირდა 4 წუთამდე საათში. ანუ, ჯამში რეკლამისთვის და სპონსორობისთვის 16 წუთი.
- AVMS დირექტივის მე-10 მუხლის შესაბამისად, გაიმიჯნა სასპონსორო და სარეკლამო მომსახურება. კომისიამ შეიმუშავა სასპონსორო მომსახურების განმარტებითი სახელმძღვანელო წესები.

- AVMS დირექტივის მე-11 მუხლის საფუძველზე საკანონმდებლო რეგულაციებში შეტანილია სარეკლამო მომსახურების ახალი სახე - პროგრამაში პროდუქტის/მომსახურების განთავსება (ე.წ. "Product Placement"). ე.წ "Product Placement"-თან არ არის გათვალისწინებული დროითი შეზღუდვები, თუმცა განსაზღვრულია ის პირობები, რომლის გათვალისწინებით უნდა მოხდეს პროგრამაში პროდუქციის/მომსახურების განთავსება. ე.წ "Product Placement"-ის განთავსების პირობებიც სრულ შესაბამისობაშია AVMS დირექტივის მოთხოვნებთან.
- საზოგადოებრივ მაუწყებელზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ეთერში იკრძალება ტელეშოპინგი, ხოლო სპონსორობა და კომერციული რეკლამის განთავსება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სპორტული რეპორტაჟის, საერთაშორისო ფესტივალისა და კონკურსის დროს, კერძოდ კი აღნიშნული პროგრამის დაწყების, ბუნებრივი ინტერვალისა და დასრულების დროს.
- საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტზე სამუშაოდ, საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის 2015 წლის ანგარიშის თანახმად, 2015 წლიდან კომისიაში ფუნქციონირებს 8 წევრიანი სამუშაო ჯგუფი. ჯფუფის საქმიანობაში, სხვა დირექტივებთან ერთად, „აუდიოვიზუალური მედიის მომსახურების დირექტივის", პროგრამაში პროდუქტის/მომსახურების განთავსების (Product Placement) შესახებ სარეკომენდაციო წესების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ეკვივალენტური წვდომისა და შესაბამისი ტერმინალური მოწყობილობებით უზრუნველყოფის კუთხით ევროპულ ბაზარზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება შედის.

არ გაკეთდა:

- საქართველოს მთავრობის 2014 და 2015 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმებში არ არის გაწერილი აქტივობები, რომლებიც მიმართულია აუდიოვიზუალურ სფეროში კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებაზე დღის წესრიგის შესაბამისად (ნაწილი 2.6 თანამშრომლობის სხვა სფეროები, თანამშრომლობა მედიისა და აუდიოვიზუალურ სფეროში). მართლია, ამ წლებში შესაბამისი აქტივობები განხორციელდა, მაგრამ ადეკვატური დაგეგმარების და საზოგადოების წინასწარ ინფორმირების (სამოქმედო გეგმის მეშვეობით) გარეშე და არასრულად.

საკითხი 2

მოწინავე პრაქტიკის გაზიარება მედიის თავისუფლების, მედია პლურალიზმის, დეფამაციის დეკრიმინალიზაციის, ჟურნალისტური წყაროების დაცვისა და მედიის კულტურული მრავალფეროვნების ასპექტებზე რეგულარული დიალოგის მეშვეობით.

საერთო შეფასება: არ შესრულდა

არ გაკეთდა:

- 2014, 2015 და 2016 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმებში არ არის შესული არცერთი აქტივობა, რომელიც ამ საკითხით გათვალისწინებულ მიზნებს ემსახურება. თუმცა, ცალკეული აქტივობები, რომლებიც სხვა მიზნებს ემსახურება, კერძოდ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება (ნაწილი 2.2: „საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა“), მედიამრავალფეროვნებას ზრდის. ეს აქტივობებია: ეთნიკური უმცირესობების ენებზე საინფორმაციო ბროშურების გავრცელება და სატელევიზიო რგოლების გაშვება ევროპული ინტეგრაციის პროცესების შესახებ, შეხვედრები მედიის წარმომადგენლებთან, ეთნიკური უმცირესობებისთვის ბეჭდური და აუდიო-ვიზუალური საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება. იმავე პრინციპით, ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ საქართველოს მთავრობის 2014-2017 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმების თანახმად განხორციელებული სატელევიზიო და რადიოპროგრამების, გაზეთებსა და ჟურნალებში თემატური სტატიების და სტუდენტური ესეების განთავსება, ვებგვერდების მომზადება ეთნიკური უმცირესობების ენებზე, ასევე მედიამრავალფეროვნების გაძლიერებას ემსახურება.

საკითხი 3

მედიის მარეგულირებელი ორგანოების შესაძლებლობების და დამოუკიდებლობის გაძლიერება.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

- საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის 2015 წლის ანგარიშის თანახმად, 2015 წელს კომისიამ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) შეიმუშავეს სპეციალური პროექტი, რომლის ღირებულების დიდი ნაწილი - 90% სლოვაკეთის მთავრობის მიერ, ხოლო 10% კომისიის მიერ ფინანსდება. პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი (#3) მოიცავს მარეგულირებელი ორგანოს განვითარებას შემდეგი მიმართულებებით: ა) უნივერსალური მომსახურება და მაღალსიჩქარიანი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის განვითარების პროცესში ხარჯების შემცირება; ბ) რადიო-სიხშირული სპექტრი; გ) ბაზრის ანალიზი; დ) მონოპოლიის წარმოქმნის პირობებში მარეგულირებელი ორგანოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები.

არ გაკეთდა:

- საქართველოს მთავრობის 2014, 2015 და 2016 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმებში არ არის გაწერილი აქტივობები, რომლებიც მიმართულია მედიის მარეგულირებელი ორგანოების შესაძლებლობების და დამოუკიდებლობის გაძლიერებისკენ დღის წესრიგის შესაბამისად (ნაწილი 2.6 თანამშრომლობის სხვა სფეროები, თანამშრომლობა მედიისა და აუდიოვიზუალურ სფეროში).

თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში

საკითხი 1

დასრულდეს მოლაპარაკებები საქართველოს, როგორც ხელშემკვრელი მხარის, ენერგოგაერთიანებაში ფორმალურ გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: 2016 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ხელი მოაწერა ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების ოქმს. მოსალოდნელია, რომ საქართველოს პარლამენტი ოქმის რატიფიცირებას 2017 წლის გაზაფხულზე მოახდენს.
თუმცა, ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთება 2016 წლის სექტემბერში უნდა შესულიყო ძალაში. მიერთების ოქმს ხელი 2016 წლის ოქტომბერში მოეწერა და, შესაბამისად, ხელისუფლების მიერ გაკეთებული განცხადებების თანახმად, ოქმი სავარაუდოდ 2017 წლის გაზაფხულზე შევა ძალაში.

არ გაკეთდა: არ განხორციელდა წინასწარი პროცედურები (დაკავშირებული ხელშეკრულების ინგლისურიდან ქართულად თარგმნასთან და ა.შ.), რაც საქართველოს მთავრობის მიერ ოქმის რატიფიცირების დაჩქარებისთვის არის საჭირო.

საკითხი 2

გადაიდგას ნაბიჯები საქართველოს ენერგობაზრის ევროკავშირის ენერგობაზართან ინტეგრირების და საქართველოს ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებისა და საქართველოსთვის შესაფერისი, ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის, იმპლემენტაციის გზით რეგულაციური დაახლოებისკენ, ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ენერგოგაერთიანებაში აღებული ვალდებულებების შესაბამისად, და საქართველოს ენერგოგაერთიანების ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებული ვადების მიხედვით.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ მოამზადა გაზის სატრანსპორტო ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა (2016-2025);
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ მოამზადა საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა (2016-2026);
- მზადდება კანონში შესატანი ცვლილებები ევროკავშირის საბჭოს 94/22/EC დირექტივის შესაბამისად, რომლებიც შეეხება ნახშირწყალბადების ძებნა-ძიების, მოპოვებისა და წარმოების უფლებამოსილების მიღებისა და გამოყენების პირობებს;
- ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა მარეგულირებელი კომისიის (სემეკი) ნაცვლად მიღებული იქნა ენერგეტიკის მინისტრის მიერ.

არ გაკეთდა:

- გაზის სატრანსპორტო ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა უნდა მოემზადებინა საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას (რომელიც გაზის ბაზარზე რეალურად წარმოადგენს გადაცემის/ტრანსპორტირების სისტემის ოპერატორს) და არა იმ კომპანიის, რომელიც მიწოდების საქმიანობით არის დაკავებული, და იგი უნდა დაემტკიცებინა მარეგულირებელ ორგანოს (სემეკი).
- ევროკავშირის საბჭოს 94/22/EC დირექტივის განხორციელების ვადა 2017 წლის სექტემბერია. კანონში შესატანი ცვლილებების პირველი პროექტი უკვე მზად უნდა ყოფილიყო, რათა 2017 წლის სექტემბერში მისი დროულად მიღება ყოფილიყო უზრუნველყოფილი.

საკითხი 3

საქართველოს ენერგოინფრასტრუქტურის ქსელისა და ურთიერთ-დამაკავშირებელი სისტემების გაძლიერება, კერძოდ:
- ელექტროენერგიასთან დაკავშირებით - „შავი ზღვის რეგიონული ელექტროგადამცემი ხაზის“ პროექტის იმპლემენტაციის გაგრძელება, მათ შორის მუშაობის დაწყება 400 კილოვოლტიან გადამცემზე საქართველო (ახალციხე) - თურქეთი (ბორჩხა), აზერბაიჯანთან და სომხეთთან ურთიერთდამაკავშირებელი სისტემების გაძლიერება და საქართველოს ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის გაუმჯობესება;
- რაც შეეხება ბუნებრივ აირს, სამხრეთ კავკასიის გაზსადენის საქართველოს ტერიტორიაზე გაფართოების იმპლემენტაციის მხარდაჭერა.

საერთო შეფასება: შესრულდა

გაკეთდა:

- რეგიონული პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საქართველო მონაწილეობდა ტრანსანატოლიის ბუნებრივი გაზსადენის (TANAP) დაარსების ცერემონიაში. საქართველო ასევე დაესწრო ბრიუსელში გამართულ მინისტერიალს (2015 წ.), სადაც ხელი მოეწერა დაინტერესებული მხარეების ერთობლივ განცხადებას, ხელი შეუწყონ აზერბაიჯანის - საქართველოს - რუმინეთის ურთიერთდამაკავშირებელი გაზსადენის პროექტის (AGRI) განხორციელებას. აზერბაიჯანი - საქართველო - რუმინეთის პროექტის (AGRI) ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება უკვე შემუშავებულია.
- სამხრეთ კავკასიის მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტის (SCPX) განხორციელების მხარდაჭერის მიზნით საქართველოს მთავრობამ გამოსცა განკარგულება მიმდებარე ტერიტორიებზე მშენებლობის მიზნებისათვის მიწის გამოყენების ნებართვის მინიჭების შესახებ.
- საქართველოს ელექტროსისტემამ ინტენსიური სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა, რომლებიც მიზნად ისახავდა საქართველოს შიდა და ტრანსსასაზღვრო გადაცემის სისტემის გაძლიერებას.

საკითხი 4

საქართველოში ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესება და განახლებადი ენერგოწყაროების განვითარება ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ხელი მოეწერა დოკუმენტს ეროვნული ენერგოეფექტიანობის სამოქმედო გეგმის (NEEAP) შემუშავებასთან დაკავშირებით. ეროვნული ენერგოეფექტიანობის სამოქმედო გეგმის (NEEAP) პროექტი უკვე დაურიგდათ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს განხილვისა და კომენტარებისთვის.
- ეროვნული განახლებადი ენერგიის სამოქმედო გეგმის (NREAP) მომზადების საკითხი ამჟამად განიხილება დონორებთან.

არ გაკეთდა:

- ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ არ განხორციელებულა სათანადო ქმედებები სამართლებრივი დაახლოების თვალსაზრისით განახლებადი ენერგიის სფეროში ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად.

საკითხი 5

თითოეულმა მხარემ უნდა დანიშნოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია, არეგულიროს გაზის და ელექტროენერგიის ბაზრები. ეს მარეგულირებელი უწყებები იურიდიულად განცალკევებული და ფუნქციურად დამოუკიდებელი უნდა იყვნენ ნებისმიერი სხვა საჯარო თუ კერძო საწარმოსგან, ბაზრის მონაწილის ან ოპერატორისგან.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: მარეგულირებელს დაევალა, შეიმუშაოს და დაამტკიცოს წესები ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელისთვის, გაზის კომერციული მომსახურების წესები და ელექტროენერგიის საიმედოდ მიწოდების წესები, რაც მოიცავს ელექტროენერგიის სექტორში აღრიცხვის ერთიანი სისტემის, ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგის წესების და მარეგულირებელი აუდიტის წესების მომზადებას.

არ გაკეთდა: მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აქტივობები მიმართულია მარეგულირებლის შესაძლებლობების გაძლიერებისკენ, არ განხორციელებულა ღონისძიებები მარეგულირებელი ორგანოსთვის გაზისა და ელექტროენერგიის საცალო და საბითუმო ბაზრების დამოუკიდებლად, ევროპული სტანდარტების შესაბამისად რეგულირების შესაძლებლობის მისაცემად.

საკითხი 6

მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ენერგეტიკული ბაზრების ოპერირება ხორციელდებოდეს კონკურენტული, უსაფრთხო და ეკოლოგიურად მდგრადი პირობების შესაბამისად და არ ხდებოდეს საწარმოების დისკრიმინაცია უფლებების და მოვალეობების თვალსაზრისით.

საერთო შეფასება: შესრულდა

გაკეთდა: განხორციელებულია ელექტროენერგიის ბაზრის მე-2 ფაზა.

გარემო და კლიმატის ცვლილება[6]

საკითხი 1

საქართველოს ეროვნული გარემოს დაცვის 2012-2016[7] წლების სამოქმედო გეგმის სრულად განხორციელება.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

- გარემოსდაცვითი საქმიანობის მართვა - გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემაში არ შეინიშნებოდა გაუმჯობესება. კომპლექსური გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემა ჯერ არ არის დანერგილი და მნიშვნელოვნად ჩამორჩება გრაფიკს; გარემოსდაცვითი განათლების ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტი მომზადდა და მიღებულია; მუშავდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების საერთო მეთოდოლოგია ჰიდროპროექტებისათვის;
- ჰაერის ხარისხი - თბილისში დამონტაჟდა ავტომატური გაზომვის სამი დამატებითი სადგური, შესწორდა კანონქვემდებარე აქტი და მასში შეტანილი იქნა ბენზინის ევროპული სტანდარტები, 2017 წლიდან ამოქმედდება ჰაერის დაბინძურების წყაროებიდან ელექტრონული ანგარიშგების სისტემა;
- ნარჩენები - დაგროვილი ნარჩენებით გამოწვეული გარემოს დაბინძურების შემცირება - დაახლოებით 230 ტონა მდგრადი ორგანული დამბინძურებელი ვადაგასული პესტიციდების სახით შეგროვდა „იაღლუჯას“ ნაგავსაყრელიდან, შეიფუთა, მოხდა ტრანსპორტირება და უსაფრთხოდ განადგურება ბელგიასა და საფრანგეთში; გარკვეული რაოდენობის სანიტარიული ნაგავსაყრელების რეაბილიტაცია/მშენებლობა;
- წყალი - მომზადდა მდინარის აუზის მართვის საპილოტე გეგმა ჭოროხი - აჭარისწყლის აუზისთვის; ჩამდინარე წყლების გამწმენდი სადგური ბათუმის და მიმდებარე სოფლებისთვის;
- ტყეები და სატყეო მეურნეობა - სატყეო კოდექსის საბოლოო პროექტი მზად არის, ტარდება საჯარო განხილვები, დროულად დაიწყო და კვლავაც მიმდინარეობს სხვადასხვა საქმიანობის უმრავლესობა, მათ შორის შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შედგენა ან/და შესაბამისი კვლევების ჩატარება;

6 აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ევროკავშირი - საქართველოს ასოცირების დღის წესრიგი ეხება გარემოს დაცვის სფეროს ფართო სპექტრს. სხვადასხვა პრიორიტეტების ფარგლებში ჩამოთვლილი ზოგიერთი სახის საქმიანობა, როგორიც არის ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის სრულად შესრულება ან ზოგიერთი მედია-პრიორიტეტი, როგორიც არის ბიომრავალფეროვნების დაცვა და/ან კლიმატის ცვლილება, ეხება საკითხებს, რომელთა გადაჭრას ევროკავშირი - საქართველოს ასოცირების დღის წესრიგის თანახმად გაცილებით ხანგრძლივი ვადა სჭირდება.

7 მართალია, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ შეიმუშავა 2012-2016 წლების ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა, მაგრამ სხვადასხვა გათვალისწინებული ზომისთვის არ არსებობდა სათანადო ხარჯთაღრიცხვა და თითქმის არ არსებობს ინფორმაცია მისი განხორციელების შესახებ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს საერთო გარემოსდაცვითი ხარჯები დაბალი და არასაკმარისია იმისათვის, რომ ადეკვატურად გადაიჭრას ქვეყნის ძირითადი ეკოლოგიური პრობლემები. ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა მოიცავს უამრავ საკითხს, რომლებიც სხვა პრიორიტეტებშია გაშუქებული.

- ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება – დამტკიცებულია ეროვნული ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული დაცვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2015-2019 წლების პერიოდისათვის; შემუშავებული და მიღებულია „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ ახალ კანონში შესატანი ცვლილებიც, რომლებიც მოიცავს უსაფრთხოების საკითხებს; განახლდა ცენტრალური საცავი - სპეციალური ობიექტი, სადაც ხმარებიდან ამოღებული რადიოაქტიური ნივთიერებები ინახება დალუქული სახით (მათ შორის რეგენერირებული რადიოაქტიური ნივთიერებები, რომლებიც მიჩნეულია უპატრონოდ); მოდერნიზებულია რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების სისტემა.

არ გაკეთდა: გარემოსდაცვითი საქმიანობის მართვა - გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა არ გაუმჯობესებულა; „გარემოსდაცვითი ზიანის დათვლის“ სისტემა არ გაუქმებულა და არ მომხდარა გარემოსდაცვითი დარღვევებისთვის სანქციების განსაზღვრის სისტემის ანულირება, რათა მიღწეული ყოფილიყო შესაბამისობა გარმოსდაცვითი ვალდებულების დირექტივასთან; გარემოსდაცვითი ვალდებულების შესახებ კანონის მომზადება ჩამორჩება დადგენილ გრაფიკს.

- გარემოს დაცვის ინტეგრირება სხვა სექტორებში – ქვეყანაში კვლავაც არ არის გარემოსდაცვითი სახელმწიფო პოლიტიკა ან მდგრადი განვითარების პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფდა გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირებას ეკონომიკურ სექტორებში.
- ჰაერის ხარისხი - თბილისში არ არის გატარებული ტრანსპორტის მოძრაობის გაუმჯობესების/ოპტიმიზაციის ღონისძიებები, ისევე, როგორც არ მოქმედებს ინტერმოდალური გადაზიდვების სქემები უსაფრთხო და მდგრადი ტრანსპორტირების მიზნებისთვის. ტექნიკური დათვალიერებისა და გამონაბოლქვის კონტროლის სქემები მანქანებისთვის არ არის დადგენილი. საავტომობილო პარკის ხანდაზმულობის ასაკის შემცირების ღონისძიებები მხოლოდ 2017 წლის იანვრიდან იქნა შემოღებული და კვლავ საჭიროებს ტესტირებას.
- სახიფათო ნარჩენები – კანონმდებლობა კვლავაც არ არის მოყვანილი შესაბამისობაში ბაზელის კონვენციასთან, მომზადდა კანონპროექტი, მაგრამ მისი საჯარო მოსმენა და განხილვა არ შემდგარა; გაურკვეველია, როდის იქნება მიღებული; მიუხედავად ჰოლანდიის მთავრობის დაფინანსებისა და ცანას და ურავის დარიშხანის შემცველი ნაცრის და წიდის დეტალური შესწავლისა, ტერიტორია არ იქნა გაწმენდილი. დაახლოებით 100,000 ტონა დარიშხანის შემცველი ნარჩენებია დაგროვილი;
- წყლის ხარისხი - ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები ფოთში, ურეკში, ბორჯომში არ აშენებულა.

საკითხი 2

ეროვნული კანონმდებლობის მომზადება, დამტკიცება და განხორციელება; კომპეტენტური ორგანოების განსაზღვრა გარემოზე ზემოქმედების შეფასების სფეროებში, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, ნარჩენების პოლიტიკა (მათ შორის, ნარჩენების მართვა, ნაგავსაყრელები, მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების მართვა, ნარჩენების ნაგებობების იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია, ურბანული ნარჩენი წყლების გაწმენდა), წყლის პოლიტიკა და ბუნებრივი რესურსების მართვა (ადამიანების მიერ მოხმარებისთვის განკუთვნილი წყლის ხარისხის ჩათვლით), ბიომრავალფეროვნება (მათ შორის გარეული ფრინველების კონსერვაცია, ბუნებრივი ჰაბიტატის და ველური ფლორისა და ფაუნის კონსერვაცია), გარემოსდაცვის საერთო საინფორმაციო სისტემის (SEIS) ფარგლებში სხვადასხვა სამინისტროსთვის გარემოსდაცვითი მონაცემების შეგროვების თანმიმდევრული მეთოდის განვითარება და საზოგადოებისთვის გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

რა გაკეთდა:

- გარემოსდაცვითი საქმიანობის მართვა - შემუშავდა გარემოსდაცვითი შეფასების კანონპროექტი, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას, რომლის მიღებასაც 2017 წელს ვარაუდობენ.
- ნარჩენების სექტორი - ნარჩენების შესახებ კანონის მიღება, ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, აგრეთვე რამდენიმე კანონქვემდებარე აქტი, რომლებიც ეხება მუნიციპალური ნარჩენების, სახიფათო ნარჩენების და ა.შ. მართვას.
- წყლის სექტორი – მომზადდა რამდენიმე კანონქვემდებარე აქტი წყლის მართვის სფეროში, მათ შორის ჩამდინარე წყლის ჩაშვების შესახებ, თუმცა კანონქვემდებარე აქტების მიღება დამოკიდებულია წყლის რესურსების მართვის კანონმდებლობაზე (იხილეთ ქვემოთ); არსებულ საზღვაო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი (ახალი ეკოლოგიური თავი) შემუშავებულია და მიღებული იქნება 2017 წლის გაზაფხულზე.
- საერთო გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემა (SEIS) – მიმდინარეობს SEIS II ფაზა - აღმოსავლეთის პროექტი.

არ გაკეთდა:

- წყლის სექტორი – კანონქვემდებარე აქტები ცხოველთა ნარჩენების, ნარჩენების დაწვის და ჯანდაცვის ნარჩენების, აგრეთვე მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების შესახებ არ იქნა მომზადებული და მიღებული.
- წყლის სექტორი – კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ მომზადდა 2015 წლის შემოდგომაზე, ჩატარდა საჯარო განხილვები და სამინისტროებს შორის კონსულტაციები, მაგრამ მისი მიღება შეჩერებულია.

საკითხი 3

საქართველოს ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და 2014-2020 წლების სამოქმედო გეგმის მიღება და განხორციელება.[8]

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: შემუშავებული და მიღებულია საქართველოს ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და 2014-2020 წლების სამოქმედო გეგმა; შემუშავებული და დამტკიცებულია დაცული ტერიტორიების მართვის შვიდი გეგმა, შვიდი შემუშავებულია,მაგრამ დამტკიცებული არ არის; შემუშავდა „ზურმუხტის ქსელის“ ტერიტორიების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები.

არ გაკეთდა: მომზადდა ბიომრავალფეროვნების შესახებ ახალი კანონის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნებს. ის უნდა გახდეს ბიომრავალფეროვნების დაცვის კანონმდებლობის ჩარჩო და ითვალისწინებდეს ასოცირების შესახებ შეთანხმების, აგრეთვე საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი ორი წელია მზადდება, კვლავ რჩება საკითხები, რომლებიც არ არის შეთანხმებული სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის ან არ არის გათვალისწინებული თავად კანონში.

საკითხი 4

აარჰუსისა და როტერდამის კონვენციების სრული იმპლემენტაცია და გეგმის შემუშავება ესპოოს კონვენციისა და გოთენბურგის ოქმის რატიფიცირებისა და განხორციელებისთვის.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: გარემოსდაცვითი შეფასების კანონპროექტი ითვალისწინებს აარჰუსის კონვენციის მოთხოვნებს.

არ გაკეთდა: არ მომზადებულა სათანადო სამოქმედო გეგმა ესპოოს კონვენციის და გოთენბურგის ოქმის რატიფიცირებისა და განხორციელებისთვის.

8 ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის რამდენიმე სახეობა საკმაოდ აქტიურად ხორციელდება იმის გათვალისწინებით, რომ სექტორის დაფინანსება სხვადასხვა დონორისგან მოდის და აღინიშნება სხვა დაინტერესებული მხარეების (არასამთავრობო ორგანიზაცები, აკადემიური წრეები) აქტიური ჩართულობა. თუმცა, ადგილი აქვს შეფერხებებს, რაც გამოიხატება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვადების გადაცილებაში.

საკითხი 5

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული დიალოგის გაღრმავება, რომლის მიზანია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ახალი გლობალური ხელშეკრულების მომზადება და ხელმოწერა.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა
გაკეთდა: საქართველომ ხელი მოაწერა პარიზის შეთანხმებას კლიმატის ცვლილების შესახებ
არ გაკეთდა: პარიზის შეთანხმების რატიფიცირება ჯერ არ მომხდარა.

საკითხი 6

სტრატეგიული დაგეგმვა და ზომების მიღება კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტირების მიზნით; და კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის აქტებთან და საერთაშორისო ინსტრუმენტებთან ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად.[9]

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა
გაკეთდა:

- 2015 წელს წარდგენილი იქნა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (INDC) დოკუმენტი (მესამე ეროვნული შეტყობინება) გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ;
- ქვეყნებისათვის მიზანშეწონილი კლიმატის შემარბილებელი ქმედებები დაბალნახშირბადიანი შენობებისთვის (ენერგოდამზოგველი ზომები) წარედგინა და დარეგისტრირდა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის სამდივნოში;
- მომზადდა და გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის რეესტრში დარეგისტრირდა ქვეყნებისათვის მიზანშეწონილი კლიმატის შემარბილებელი ქმედება „ბიომასის ეფექტიანი გამოყენება სოფლის თანაბარზომიერი, კლიმატისგან დაცული და მდგრადი განვითარებისთვის.“
- ორივე ქვეყნისათვის მიზანშეწონილი კლიმატის შემარბილებელი ქმედება საჭიროებს გადახედვას მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
- მომზადდა მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმები მერების შეთანხმების 11 ხელმომწერიდან 9 ქალაქისთვის; მათ შორის მდგრადი ენერგეტიკის 8 სამოქმედო გეგმა ქალაქების: თბილისი, რუსთავი, თელავი, ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, ახალციხე და გორი წარედგინა მერების შეთანხმების სამდივნოს.

არ გაკეთდა: ატმოსფეროში გამონაბოლქვის შემცირების სტრატეგიის შემუშავება[10] კვლავაც გრძელდება და ჩამორჩება დამტკიცებულ გრაფიკს. ეროვნული ადაპტაციის გეგმა არ არის მომზადებული და ჩამორჩება დამტკიცებულ გრაფიკს.

---

9 ექსპერტთა აზრით, კლიმატის ცვლილების სფეროში მიღწეული გარკვეული პროგრესის მიუხედავად, საქართველოს არ გააჩნია ერთიანი სტატეგია და სამოქმედო გეგმა ამ სფეროში, რაც უზრუნველყოფდა კლიმატის ცვლილების საკითხებისადმი კოორდინირებულ მიდგომას, მათ შორის ადაპტირების და შერბილების გეგმების კოორდინირებული მექანიზმების მომზადებას. ერთადერთი გამონაკლისია ატმოსფეროში გამონაბოლქვის შემცირების სახელმწიფო საკოორდინაციო კომიტეტი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სამდივნოს მიერ რეგისტრირებული ქვეყნებისათვის მიზანშეწონილი კლიმატის შემარბილებელი ქმედებები (შემოკლებით ემშქ ან **NAMA**) სავარაუდოდ გადაიხედება მათი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

10 ასოცირების შესახებ შეთანხმებაში არ იყო მოცემული ვადები. მართალია, ატმოსფეროში გამონაბოლქვის შემცირების სტრატეგიის შემუშავება **2013** წელს დაიწყო და **2014** წელს უნდა დასრულებულიყო, საბოლოო პროექტი **2017** წლის გაზაფხულსთვის დასრულდება.

სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება[11]

საკითხი 1

სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის მარკეტინგის სტანდარტების ეტაპობრივი მიღების ხელშეწყობა სურსათის უვნებლობის უფრო მაღალი სტანდარტისა და ხარისხის სქემების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: სურსათის უვნებლობის უფრო მაღალი სტანდარტის ხელშეწყობის მიზნით, 2015 წელს მიღებული იქნა რამდენიმე სამართლებრივი აქტი, რომლებიც ეხება ცხოველთა იდენტიფიცირებასა და რეგისტრირებას, ცხოველთა დაავადებების კონტროლს, ქიმიური საშუალებების განთავსებას ბაზარზე და სხვა საკითხებს. გარდა ამისა, შემუშავდა „საკანონმდებლო დაახლოების სია“, რომელიც ევროკავშირს წარედგინა იმავე წლის თებერვალში. 2016 წელს მიღებული იქნა სამი სამართლებრივი აქტი სურსათის უვნებლობის სფეროში. 2015-2016 წლებში მოეწყო რამდენიმე შეხვედრა, სადაც ფერმერებს, კერძო სექტორის წარმომადგენლებსა და სტუდენტებს მიეწოდა ინფორმაცია ევროკავშირის ბაზარზე შესვლის მოთხოვნებისა და იმ საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, რომლებიც მისაღებია საკანონმდებლო დაახლოების ფარგლებში. საქართველოს პარლამენტის მიერ ამ სამართლებრივი აქტები დამტკიცებამდე, ისინი აიტვირთა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე, რათა დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა ჰქონოდათ, წარმოედგინათ თავიანთი შენიშვნები.
ხარისხის სქემების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა, საქპატენტმა, 2015-2016 წლებში მოაწყო ორი რეგიონული კონფერენცია, დაბეჭდა ერთი ბუკლეტი და ერთი საინფორმაციო ხასიათის ბიულეტენი და გამართა ორი შეხვედრა გეოგრაფიული აღნიშვნების თაობაზე ფერმერებთან, მეწარმეებთან, ვეტერინარებსა და ლაბორატორიების თანამშრომლებთან.
თუმცა, უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს მიღებული სამართლებლივი აქტების განხორციელება. შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებს საკმაოდ მცირე კომუნიკაცია აქვთ საზოგადოებასთან; როგორც საქართველოს ფერმერთა და შინამეურნეობათა მე-2 კონგრესმა აღნიშნა, რომელიც უმთავრესად სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს აერთიანებს, მათ იშვიათად აწვდიან ინფორმაციას სურსათის უვნებლობის მოთხოვნების შესახებ, რის შედეგადაც ეს მოთხოვნები ხშირად უგულებელყოფილია. კომუნიკაციის ნაკლებობის გამო ანალოგიური მდგომარეობაა ხარისხის სქემების განხორციელებასთან დაკავშირებითაც. შესაბამისად, მიღებული კანონმდებლობის რეალური ეფექტიანობის ხარისხი ძალიან დაბალია.

არ გაკეთდა: მართალია, სურსათის უვნებლობის სტრატეგიის და საკანონმდებლო დაახლოების პროგრამის განახლება ასოცირების შეთანხმების განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის კომპონენტს წარმოადგენდა, მისი განხორციელება გადაიდო საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებამდე და იგი 2016 წლის სამოქმედო გეგმაში საერთოდ არ იყო გათვალისწინებული.

11 სოფლის მეურნეობა ამოღებული იყო ასოცირების შეთანხმების განხორციელების **2014** წლის სამოქმედო გეგმიდან, ამიტომ ეს დოკუმენტი ეფუძნება **2015** წლის ანგარიშსა და **2016** წლის **9** თვის ანგარიშს.

საკითხი 2

სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის კოოპერატივების მეშვეობით მასშტაბის ეკონომიის გაძლიერების, საკონსულტაციო და განათლების სისტემების განვითარების გზით წარმოებისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით; და სიცოცხლისუნარიანი საკრედიტო და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გამარტივების გზით.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: კოოპერატივების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა რამდენიმე აქტივობა. 2016 წელს მოეწყო დაახლოებით 20 შეხვედრა კოოპერაციის მნიშვნელობისა და უპირატესობების შესახებ აუდიტორიის ინფორმირებისთვის. 2015 წელს, კოოპერატივების შესაძლებლობების გასაძლიერებლად, 544-მა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა მიიღო აღჭურვილობა (მოტობლოკები და ხელის სათესი დანადგარები), ხოლო კოოპერატივების 387-მა მეპაიემ ტრენინგი გაიარა საგადასახადო სფეროს საკითხებში. სხვა ორი ტრენინგი - სურსათის უვნებლობის კანონმდებლობასა და ევროკავშირში თაფლის ექსპორტირების საკითხებზე, 2016 წელს მოეწყო. იმავე წელს, რამდენიმე კოოპერატივს შესაძლებლობა მიეცა, წარმოედგინა საკუთარი პროდუქცია დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებებზე, ხოლო 10-მა კოოპერატივმა მონაწილეობა მიიღო წლის ბოლოს გამართულ გამოფენაში. 2015 წელს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ შეიმუშავა თაფლის მწარმოებელი კოოპერატივების მონაცემთა ბაზა, რომელიც მათ შესაძლებლობას აძლევს, წარადგინონ მოთხოვნა ლაბორატორიულ შემოწმებაზე, მიიღონ ამ შემოწმების შედეგები და ინტერნეტში განათავსონ ინფორმაცია საკუთარი პროდუქციის შესახებ. ანალოგიური წინსვლა 2016 წლის ანგარიშშიც აღინიშნა, რაც კითხვას აჩენს იმის თაობაზე, რაიმე დამატებით აქტივობას გულისხმობს ეს თუ უმოქმედობას.

საკონსულტაციო და განათლების სერვისების ხელმისაწვდომობა სოფლის მეურნეობის სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამ მიზნით 2013 წელს შეიქმნა 51 საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრი მუნიციპალურ დონეზე მთელი საქართველოს მასშტაბით და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 9 რეგიონული სამმართველო. ამჟამად მათში 247 ადამიანია დასაქმებული. 2015 წელს, ამ ცენტრების და სამმართველოების პერსონალს 67 ტრენინგი ჩაუტარდა სხვადასხვა საკითხზე. იმავე წელს, 28 ტრენინგი ჩატარდა ფერმერებისთვის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც 2014 წელს შეიქმნა და დაახლოებით 300 თანამშრომელს ითვლის, კიდევ ერთი უწყებაა, რომელიც პასუხისმგებელია საკონსულტაციო და საგანმანათლებლო სერვისების უზრუნველყოფაზე ცნობარების და სახელმძღვანელოების შემუშავებისა და ფერმერებისთვის ტრენინგების ორგანიზების მეშვეობით. 2015 წელს ამ ცენტრმა შეიმუშავა ერთწლოვანი კულტურების ცნობარები, ბიო-

აგროწარმოების სასწავლო პროგრამა, შეადგინა საქართველოში ბიოფერმერების სია, მოამზადა ტექნოლოგიური რუკები და ჩაატარა მათი ფინანსური ანალიზი. შინამეურნეობათა იმ დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, რომლებიც სოფლის მეურნეობით არიან დაკავებული, ზემოხსენებული აქტივობები არ არის საკმარისი რაიმე ზეგავლენის მოსახდენად.

სოფლის მეურნეობით დაკავებულთათვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, 2015 წელს, შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სქემების მეშვეობით, გაიცა 143,737,982 ლარის ღირებულების 3,482 სესხი და 37,101,511 აშშ დოლარის ღირებულების 436 სესხი. 2016 წელს ეს რაოდენობა 30,301,137 ლარის ღირებულების 650 სესხამდე და 35,256,544 აშშ დოლარის ღირებულების 677 სესხამდე შემცირდა. თუმცა, საქართველოს ფერმერთა მე-2 კონგრესის თანახმად, ამ სქემებთან წვრილ ფერმერებს ძალიან შეზღუდული წვდომა აქვთ. 2015 წელს, 6,895 აგროსადაზღვევო პოლისი იქნა უზრუნველყოფილი, რომლებიც 4,751 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწას ფარავდა. 2016 წელს ეს ციფრი 15,134 პოლისამდე გაიზარდა. ეს რაოდენობაც ძალიან მცირე იმის გათვალისწინებით, რომ 2014 წლის აღწერის თანახმად, ფერმერები 787,700 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწას ფლობენ. შესაბამისად, საეჭვოა აგროდაზღვევის პროგრამის ზოგადი ეფექტიანობა.

არ გაკეთდა: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ქალთა და მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის მცდელობების ეფექტიანობა რთული შესაფასებელია. მეპაიეების მოწყვლადობის თაობაზე არანაირი კონკრეტული მონაცემები არ არის აღრიცხული, ხოლო ქალთა ჩართულობა დაბალია თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებობს 214 საბჭო, რომლებსაც ქალები თავმჯდომარეობენ (და რომელთა გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, დირექტორებისგან განსხვავებით, ძალიან შეზღუდულია), ხოლო თითქმის 1600 კოოპერატივს შორის ქალთა კოოპერატივი მხოლოდ 23-ია.

საკითხი 3

სოფლის მეურნეობის განვითარებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების მოდერნიზება, მათ შორის ამ პროცესში ყველა შესაბამისი ინტერესჯგუფის მონაწილეობის გზით.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: 2015 წელს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მუშაობა დაიწყო ინსტიტუციური რეფორმის გეგმაზე და შეხვედრა გამართა ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (CIB) ექსპერტებთან, რათა განესაზღვრათ სურსათის ეროვნული სააგენტოს საჭიროებები. 2016 წელს, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პერსონალისთვის რამდენიმე ტრენინგი მოეწყო, მათ შორის MS Access-ის, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებასა და ინგლისურ ენაში. 2015-2016 წლებში, იმ თანამშრომლებმა, რომლებიც ჩართული არიან საკანონმდებლო დაახლოების პროცესში, რამდენიმე მოსამზადებელი კურსი გაიარეს და მონაწილეობა მიიღეს სასწავლო ტურებში, რათა საკუთარი ცოდნა და უნარები გაეუმჯობესებინათ. რამდენიმე სასწავლო ვიზიტი, ტრენინგი და შეხვედრა მოეწყო სასაზღვრო ინსპექციის პუნქტებზე ფიტოსანიტარიული, ვეტერინარული და სურსათის უვნებლობის შემოწმების საკითხზე. ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის ფარგლებში შეძენილი იქნა ახალი აღჭურვილობა სამი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტისთვის.

ნაბიჯები გადაიდგა ლაბორატორიების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, მათ შორის ლაბორატორიების პერსონალისთვის ტრენინგების და სემინარების ორგანიზების, სტანდარტიზებული პროცედურების დანერგვის და უკეთესი აღჭურვილობის შეძენის გზით. 2015 წელს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმაც მიიღო აღჭურვილობა და ავეჯი, ხოლო მისმა თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე ტრენინგში. 2016 წელს ქვეყნის ლაბორატორიებმა მიკრობიოლოგიური კვლევების ჩატარებისთვის სრულ ქმედუნარიანობას მიაღწიეს, ხოლო სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას საერთაშორისო აკრედიტაცია მიენიჭა კვლევების ჩატარებაზე მცენარეთა დაავადებების, სურსათის და ცხოველური საკვების მიკრობიოლოგიის და სხვა სფეროებში. თუმცა, საქართველოს ფერმერთა მე-2 კონგრესმა ლაბორატორიული კვლევების ხელმისაწვდომობა და ხარისხი გამოყო, როგორც ფერმერების მიერ დასახელებული ერთ-ერთი პრობლემა.

საკანონმდებლო დაახლოებისთვის საჭირო მოთხოვნების შესრულებაში კერძო სექტორის ხელშეწყობის მიზნით, 2016 წელს, ხელი მოეწერა მემორანდუმს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რამდენიმე უწყებასა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის“ პროექტს შორის. ამან უწყებებს შესაძლებლობა მისცა 29 კომპანიის 50 თანამშრომლისთვის ტრენინგები ჩაეტარებინათ სურსათის უვნებლობის მართვის სისტემებსა და სტანდარტებზე.

არ გაკეთდა: ასოცირების შეთანხმების განხორციელების 2015 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, უნდა შემუშავებულიყო ტრეინინგების პროგრამა იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც ჩართული არიან საკანონმდებლო დაახლოების პროცესში. თუმცა, ამ ამოცანის განხორციელება 2015 წელს არ დასრულებულა, ხოლო 2016 წლის გეგმაში შეტანილი არ იყო.

საკითხი 4

ევროკავშირში აპრობირებული მოდელების საფუძველზე, ეფექტიანი სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პოლიტიკის მიმართ პროგრესული დაახლოება.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა: 2015 წლის თებერვალში მიღებული იქნა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წლებისთვის. 2016 წელს, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მუშაობა დაიწყო სოფლის განვითარების სტრატეგიაზე; ამ მიზნით სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. გაეროს განვითარების პროგრამასთან თანამშრომლობით მომზადდა სტრატეგიის პროექტი და წარედგინა ფართო საზოგადოებას. ეს დოკუმენტი 2016 წლის 30 დეკემბერს დამტკიცდა. თუმცა, ამ დოკუმენტის დამატებული ღირებულება კითხვის ნიშნებს აჩენს, ვინაიდან მასში ძირითადად ისეთი საკითხებია შეტანილი, რომლებსაც მანამდე დამტკიცებული სტრატეგიები მოიცავს, კერძოდ, 2010-2017 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგია და 2015-2020 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია.

არ გაკეთდა: 2016 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მუშაობა დაიწყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ეროვნულ სტრატეგიაზე და ასოცირების შეთანხმების განხორციელების 2016 წლის სამოქმედო გეგმის 9 თვის ანგარიშის თანახმად, მიმდინარეობდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის გამოხმაურებებისა და შენიშვნების გაანალიზება. სტრატეგიის მიღება 2016 წელს იყო გათვალისწინებული, მაგრამ 2017 წლის იანვრის დასაწყისში ის არც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი და არც საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, ანუ ოფიციალურ ჟურნალში, რომელშიც სახელმწიფო უწყებების მიერ მიღებული ყველა ნორმატიული აქტი ქვეყნდება.

განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა

საკითხი 1

ერთობლივი სამუშაოსა და გაცვლების განხორციელება უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში საქართველოს შემდგომი ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, ბოლონიის პროცესში საქართველოს მონაწილეობის კონტექსტში, საქართველოს უნივერსიტეტების დამოუკიდებლობისა და ავტონომიის ხელშეწყობის ჩათვლით.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

- გადახედილ იქნა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო. განხორციელდა „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარებისა და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის“ პროექტი. მომზადდა ეროვნული კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოს პროექტი;
- დაიწყო უმაღლესი განათლების სფეროში აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტების გადახედვა და შესაბამისი საერთაშორისო მოდელების განვითარება.
- ჩატარდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დიაგნოსტიკა და პრობლემების ანალიზი;
- ზოგადი და უმაღლესი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ზრდის მიმართულებით განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები და სოციალური პროგრამები, მათ შორის სსსმ, შშმ და მსჯავრდებული/ბრალდებული პირთათვის. ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტებისთვის განხორციელდა სახელმწიფო სტიპენდიების პროგრამა.
- განათლების სისტემის შედეგების შესაფასებლად და განათლების სფეროს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით 2015-2016 წლებში ჩატარდა საერთაშორისო კვლევების TIMSS, PISA, PIRLS ძირითადი კვლევა. მომზადდა და დამუშავდა მონაცემთა ბაზები, განხორციელდა მათი ანალიზი.
- 2015 წელს შემუშავდა ზოგად განათლებაში ICT ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკის კონცეფცია (ICT Policy). მოხდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვის ახალი საინფორმაციო სისტემის დანერგვა.
- განხორციელდა მასწავლებელთა სერტიფიცირების არსებულ სისტემაში შეფასების ახალი კომპონენტის - SABER-ის (Systems Approach for Better Education Results) დამატება. შემუშავდა მასწავლებლის შეფასების ელექტრონული სისტემა;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიწყო ელექტრონული ჟურნალის დანერგვა;
- ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან უმაღლესი განათლების სისტემის დაახლოების უზრუნველსაყოფად ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფის ფარგლებში (BFUG) განხორციელდა შეხვედრები და საერთაშორისო სემინარები;
- საერთაშორისო პრაქტიკისა და ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) ანალიზის საფუძველზე მომზადდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებისა და შეფასების კრიტერიუმების სამუშაო დოკუმენტი. 2016 წელს ცვლილებები შევიდა „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განახლების მიზნით.

არ გაკეთდა:

- ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან თავსებადი ეროვნული კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოს დამტკიცება;
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ENQA-ში გაწევრიანებისთვის წინასწარი შეფასების ანგარიშის დოკუმენტის მომზადება.

საკითხი 2

აკადემიური თანამშრომლობის, შესაძლებლობების განვითარებისა და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა ახალი Erasmus+ - ის პროგრამის და მკვლევართა მობილობისა და ტრეინინგის მარი სკლოდოვსკა-კიურის პროგრამის მეშვეობით.

საერთო შეფასება: შესრულდა

გაკეთდა:

- შეიქმნა ახალი საინფორმაციო ვებ-გვერდი www.erasmusplus.org.ge ინტერაქციული ფუნქციით და საგრანტო დაფინანსების საძიებო სისტემა www.progeorgia.ge;
- სტუდენტთა მობილობის გაზრდის მიზნით დაინტერესებული მხარეებისათვის ჩატარდა საინფორმაციო ღონისძიებები (შეხვედრები, სემინარები, თემატური ტრენინგები და სხვა) Erasmus+ - ის პროგრამის შესახებ, მომზადდა და გავრცელდა საინფორმაციო ვიდეო რგოლი. ევროპელ პარტნიორებს მიეწოდათ ინფორმაცია ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ;
- განხორციელდა გაცვლითი პროგრამების დაფინანსება. 2015 წელს დამტკიცდა „საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სწავლების ხელშეწყობის პროგრამა“.
- უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესის და გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა სკოლის მასწავლებელთა ონლაინ სისტემაში ჩართვა და დამეგობრება ევროპის ქვეყნების მასწავლებლებთან (eTwinning Plus).
- ინგლისური ენის მასწავლებელთათვის ჩატარდა ენობრივი და მეთოდური სატრენინგო კურსები. განხორციელდა ინგლისური ენის სპეციალისტის (English Language Fellow) პროგრამა, გადამზადდა 796 მასწავლებელი;
- პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში ინგლისური ენის სწავლების მიზნით განხორციელდა უცხოელი მოხალისე მასწავლებლების საქართველოში ჩამოყვანა და მათი საჯარო სკოლებში გადანაწილება;
- საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განხორციელდა ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების პროგრამები;
- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების კონცეფციის ფარგლებში განხორციელდა გრანტებისა და დაფინანსების პროგრამები;
- შემუშავდა პროფესიული სტუდენტების/პროფესიული განათლების მასწავლებლების საერთაშორისო მობილობის მოსამზადებელი პროგრამები. პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიერ სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მიზნით განხორციელდა ვიზიტი პოლონეთის რესპუბლიკაში;
- განხორციელდა პროექტი - „მასწავლებელი მეგზური ევროპისკენ“.

საკითხი 3

პროფესიული განათლებისა და ტრენინგისადმი (VET) სტრატეგიული მიდგომის წახალისება, საქართველოს პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემის ევროკავშირის პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სტრუქტურების მოდერნიზაციასთან დაახლოების მიზნით, კოპენჰაგენის პროცესის შესაბამისად და მისი ინსტრუმენტების გამოყენებით.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

- გადაიხედა პროფესიულ განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები EQARF-თან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით;
- დაინერგა ინკლუზიური პროფესიული განათლება და დაიწყო მისი განვითარება/ხელშეწყობა; განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ზრდა ინკლუზიური განათლების კუთხით. სასწავლო მასალები ადაპტირდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტთა სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვნად წარსამართად. განხორციელდა მსჯავრდებულთა, ყოფილ პატიმართა და მათი ოჯახის წევრთა პროფესიული მომზადების პროგრამები;
- განხორციელდა პროფესიული სტანდარტების გადახედვა/განვითარება და პროფესიული განათლების სამოდულო პროგრამების შექმნა DACUM-ის მეთოდოლოგიის გამოყენებით;
- დაიწყო კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარება და იმპლემენტაცია;
- შემუშავდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კონცეფცია;
- განვითარდა რიგი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა, მოხდა მათი რეაბილიტაცია, განახლება და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა. ინფრასტრუქტურა ადაპტირებულ იქნა სსსმ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. დაინერგა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- დაიწყო არსებული პროფესიული საგანმანათლებლო კანონმდებლობის გადახედვა, კოპენჰაგენის პროცესით გათვალისწინებული საერთო ევროპული მიდგომების გათვალისწინებით;
- მომზადდა არაფორმალური/ფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კონცეფცია. შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების წესი. განხორციელდა არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის პილოტირება სოფლის მეურნეობის სფეროში;
- დაიწყო სსსმ და შშმპ სტუდენტების დასაქმების წახალისება/მხარდაჭერა;
- მოხდა ესტონური გამოცდილების გაზიარება ქართული პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად. დაიწყო პროფესიული განათლების და გადამზადების სისტემების მოდერნიზება UNDP-SDC პროექტის ფარგლებში. გადაიხედა პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის ფორმატი და დაიწყო მისი განვითარება.

- გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა ,,დასაქმებაზე ორიენტირებული პროფესიული გადამზადების სისტემის კონცეფცია“;
- ხელმისაწვდომი, ინკლუზიური და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროექტი;
- ძირითად კომპეტენციებზე ჩატარდა დამსაქმებელთა მოთხოვნების შესწავლა/ანალიზი და დაიყო მათი პროფესიულ სტანდარტებში ინტეგრირება; განხორციელდა 100 პროფესიული სტანდარტის რედაქტირება და შემუშავდა 99 პროფესიული სტანდარტის პროექტი;
- დაიწყო მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განვითარება;
- განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა შესაძლებლობების განვითარების პროგრამები;
- ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განხორციელდა პროფესიული პროგრამები;
- პროფესიული განათლების სფეროში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით უზრუნველყოფილ იქნა სასწავლო ტურები სხვადასხვა ქვეყნებში;
- დაიწყო პროფესიული განათლებიდან უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის შექმნა. შემუშავდა სამოქმედო გეგმა და ჩამოყალიბდა პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების ინტეგრირების კონცეფცია;
- დაიწყო საჯარო სკოლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა;
- განხორციელდა „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის 2016 წლის სამოქმედო გეგმა (EU-VEGE)“.

არ გაკეთდა:

- ფორმალური პროფესიული განათლების ფარგლებში პროფესიული გადამზადების სისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო სამართლებრივი ბაზის მომზადება;
- ზოგადი განათლების მიღმა დარჩენილი პირებისათვის პროფესიული განათლების დაუფლების შესაძლებლობის შექმნა;
- “პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონპროექტის ინიცირება;
- არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ახალი წესისა და პირობების დამტკიცება;
- არაფორმალური განათლების აღიარებაში ცნობიერების ამაღლების კამპანიის მომზადება და დანერგვა.

საკითხი 4

ახალგაზრდობის პოლიტიკისადმი სტრატეგიული მიდგომის წახალისება და ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა დასაქმებულთათვის არაფორმალური განათლების სფეროში გაცვლებისა და თანამშრომლობის გაძლიერება, როგორც კულტურათაშორისი დიალოგისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის საშუალება, მათ შორის ახალგაზრდობის სფეროში ევროკავშირის პროგრამების მეშვეობით.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:

- 2014 წელს შემუშავდა არაფორმალური განათლების საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტი. შემუშავდა და განხორციელდა სახელმწიფო არაფორმალური განათლების პროგრამა. მომზადდა ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების სტრატეგია;
- შეიქმნა არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციების ბაზა და შემუშავდა მათთან კომუნიკაციის ერთიანი ელექტრონული სისტემა. გაიმართა ახალგაზრდული ორგანიზაციების ფორუმი (ყოველწლიურად);
- 2014 წელს დამტკიცდა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, შემუშავდა სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმა;
- განხორციელდა საქართველოს ახალგაზრდა ელჩების პროგრამა „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“;
- უცხოეთში მცხოვრები ქართველი მოზარდებისთვის ჩატარდა სხვადასხვა შემეცნებითი კონკურსები. განხორციელდა პროექტი „მომავლის ბანაკი“;
- ამოქმედდა „მოხალისეობის განვითარების პროგრამა - საქართველოს მოხალისე“, დაიწყო მოხალისეობის სტრატეგიის შემუშავება.

არ გაკეთდა:

- ტრენერთა პროგრამის შემუშავება;
- ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება;
- საქართველოს კანონი „ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერის შესახებ“ - კანონპროექტის დახვეწა და პარლამენტში წარდგენა.

თანამშრომლობა
კულტურის სფეროში

საკითხი 1

კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ იუნესკოს 2005 წლის კონვენციის იმპლე-მენტაციის ხელშეწყობა.

საერთო შეფასება: არ შესრულდა

არ გაკეთდა:

- კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ იუნესკოს 2005 წლის კონვენციის განხორციელების ხელშეწყობა: კულტურის სფეროში სახელმწიფო და სამოქალაქო აქტორებს შორის იუნესკოს 2005 წლის კონვენციის შესახებ ცოდნა ძალზე დაბალია;
- 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ კულტურის სამინისტროს ექვსი თვის ანგარიშში არ არის ნახსენები საქმიანობა, რომელიც ხელს შეუწყობდა სხვადასხვა კულტურული ჯგუფის (როგორებიც არიან ეთნიკური, რელიგიური თუ გენდერული უმცირესობები და სხვ.) წარმომადგენელთა კულტურულ თვითგამოხატვას, ან რაიმე სპეციალური პროექტები სხვადასხვა ჯგუფის სოციალური ჩართულობის ხელშესაწყობად;
- არ გადადგმულა ნაბიჯები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნების დასაცავად და მისი ფასეულობის ასამაღლებლად;
- არ არის მიღებული კანონპროექტი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ;
- მიუხედავად იმისა, რომ კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვა გათვალისწინებულია „კულტურის სტრატეგია 2025“-ის განხორციელების ერთ-ერთი მოსალოდნელი შედეგის სახით, არ არის მითითებული მექანიზმები და არც რეალური ნაბიჯები გადადგმულა ამ შედეგის მისაღწევად. საქართველოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის კულტურულ მემკვიდრეობას და კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნებას საფრთხე ემუქრება;
- საქართველოს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის რეგიონული, გეოგრაფიული, ტიპოლოგიური და კრეატიული მრავალფეროვნება და მისი დაცვის აუცილებლობა არ არის სათანადოდ ასახული „კულტურის სტრატეგია 2025“-ში;
- საქართველოში ხშირია შემთხვევები, როდესაც ღიად იზღუდება კულტურული თვითგამოხატვა და მხატვრული თავისუფლება და ირღვევა კულტურულ ქონებაზე უფლებები და ეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიების ან უწყებების მხრიდან რეაგირების გარეშე რჩება.

საკითხი 2

საქართველოში ინკლუზიური კულტურული პოლიტიკის განვითარებისა და კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ვალორიზაციის საკითხებზე სოციო-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობა.

საერთო შეფასება: არ შესრულდა

არ გაკეთდა:

- საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წელს მიღებული „კულტურის სტრატეგია 2025“ არ არის სრულყოფილი, განსაკუთრებით კულტურული მემკვიდრეობის სფეროსთან მიმართებაში, და ვერ იქნება მიჩნეული ინკლუზიური კულტურული პოლიტიკის დოკუმენტად. კულტურული მემკვიდრეობა არ აღიქმება საქართველოს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ საყრდენად.
- „კულტურის სტრატეგია 2025“-ში არ არის მითითებული კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სტრუქტურული რეფორმებისა და საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწის აუცილებლობა. არც რისკების პრევენცია და მართვაა ნახსენები. გარდა ამისა, არ ექცევა სათანადო ყურადღება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ფიზიკური დაცვის საჭიროებას: ეს მხოლოდ მე-3 თავის („სპეციფიკური ამოცანები“) ბოლოს, მე-14 პუნქტშია გათვალისწინებული.
- არ არის მიღებული „ICOMOS საქართველოს“ მიერ მომზადებული დოკუმენტი „კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში“.
- მიუხედავად ასოცირების შესახებ შეთანხმებით და ასოცირების დღის წესრიგით ნაკისრი ვალდებულებებისა, არ აღინიშნება ცვლილება სახელმწიფოს ხედვაში: საქართველოს სახელმწიფოს რეალური პოლიტიკა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ადასტურებს, რომ კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა კვლავ აღიქმება დაბრკოლებად ეკონომიკური განვითარებისათვის. საქართველოს უნიკალური კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა მსხვერპლად ეწირება ეგრეთ წოდებულ „ეკონომიკურ განვითარებას“.
- არ არსებობს კავშირი კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობასა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებას შორის. საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წელს მიღებულ „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია-2020“-ში ნახსენებიც კი არ არის კულტურული მემკვიდრეობა.
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო არ ასრულებენ საკუთარ მისიას კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მისი ფასეულობის ამაღლების თვალსაზრისით.
- კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი არ არის გამჭვირვალე და მონაწილეობაზე დამყარებული: სამინისტროში აღარ არსებობს პროფესიული საბჭოები.

- სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში გადაწყვეტილებათა მიმღებ ორგანოებში ადამიანური რესურსების საკითხი: კომპეტენტურობის ნაკლებობა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში მძიმე გავლენას ახდენს კულტურული მემკვიდრეობის სფეროზე.
- საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის სფეროს რეალურ პოლიტიკაში არ არსებობს კარგი მართვის პრინციპები, რაც ქვეყნის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობისთვის შეუქცევად ზიანს იწვევს.

საკითხი 3

საქართველოს კულტურის წარმომადგენლების მონაწილეობის მხარდაჭერა კულტურული თანამშრომლობის პროგრამებში, მათ შორის Creative Europe პროგრამაში.

საერთო შეფასება: ნაწილობრივ შესრულდა

გაკეთდა:
- ქართული კულტურის მოღვაწეებს მიეცათ შესაძლებლობა, ჩართულიყვნენ ევროკავშირის პროგრამა Creative Europe-ში;
- 2016 წელს მომზადდა და დამტკიცდა კულტურის ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი - „კულტურის სტრატეგია 2025“;
- კულტურის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩატარდა საზოგადოებასთან საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრები.

არ გაკეთდა:
- კულტურის ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი არ ეფუძნება კულტურის სფეროში ინკლუზიური პოლიტიკის ხედვას და მასში არ არის გათვალისწინებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული პრიორიტეტები;
- საზოგადოებასთან საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრებზე ყურადღება გამახვილებული იყოს ძირითადად სამინისტროს წარმომადგენელთა გამოსვლებზე და არა სამუშაო პროცესსა და ექსპერტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლების თანამშრომლობაზე;
- ჯერ არ შემუშავებულა კულტურის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიის დოკუმენტი პრიორიტეტის სახით არ ითვალისწინებს მხატვართა მობილობას და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობას.

ავტორები

ანა ნაცვლიშვილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარეა. მას აქვს საქართველოში და უცხოეთში დემოკრატიული რეფორმებისა და ადამიანის უფლებების სფეროში რვა წლის მუშაობის გამოცდილება. იგი მუშაობდა სამხრეთ კავკასიის პროექტის რეგიონულ კოორდინატორად ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ რამდენიმე პროექტში და ასევე ექსპერტად საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, როგორებიც არის ევროპის საბჭო, ეუთო, ადამიანის უფლებათა სახლების ქსელი და ა.შ. ქ-ნი ნაცვლიშვილი რიგი პუბლიკაციების და კვლევითი პროექტების ავტორია. მას მოპოვებული აქვს იურიდიული მეცნიერების ბაკალავრის ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამართლის მაგისტრის ხარისხი ადამიანის უფლებების სფეროში ცენტრალურ ევროპულ უნივერსიტეტში (2006-2007, უნგრეთი) და სამართლის მაგისტრის ხარისხი ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სფეროში (2011-2012, გაერთიანებული სამეფო).

ერეკლე ურუშაძე პროექტის მენეჯერია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოში“ და ხელმძღვანელობს ორგანიზაციის კვლევით და ადვოკატირების მუშაობას ანტიკორუფციული პოლიტიკისა და რეფორმების სფეროში. 2009 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში“ მუშაობის დაწყებიდან იგი წამყვან როლს ასრულებდა ეროვნული ანტიკორუფციული სისტემების შეფასებების (საქართველოს ძირითადი ინსტიტუტების საქმიანობის მიმოხილვა) მომზადებაში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში“ მუშაობის დაწყებამდე ბ-ნი ურუშაძე მუშაობდა აშშ-ის ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტში, BBC-ს მონიტორინგის სამსახურში და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტში. მას აქვს მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში.

ცირა ჭანტურია „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ (PRI) სამხრეთ კავკასიის რეგიონულ ოფისში თორმეტი წელია მუშაობს. 2010 წელს იგი ორგანიზაციის რეგიონული დირექტორი გახდა. მას წამების პრე- ვენციისა და ციხეების მონიტორინგის სფეროში მუშაობის 11 წელიწადზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს. ქ-ნი ჭანტურია აქტიურად იყო ჩართული სამხრეთ კავკასიის რეგიონში გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმის (OPCAT) რატიფიცირებასთან დაკავშირებულ კამპანიებში, შემდეგ კი გახორციელებაში. 2006-2007 წლებში იგი თავმჯდომარეობდა საქართველოში ციხეების მონიტორინგის ერთ-ერთ საბჭოს. 2007 წლიდან ქ-ნი ჭანტურია „ციხის საერთაშორისო რეფორმას“ წარმოადგენდა წამების საწინააღმდეგო სააგენტოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოში. იგი მონაწილეობდა ქვეყნის წამების საწინააღმდეგო ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში. ამჟამად მონაწილეობს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის /ხელშეკრულების განხორციელების მონიტორინგში, კერძოდ, წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. ქ-ნმა ჭანტურიამ წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ხარისხით საზოგადოებასთან ურთიერთობაში, ხოლო სამართალში ხარისხი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში მიიღო. ამჟამად იგი აგრძელებს სწავლას საჯარო პოლიტიკის სფეროსა და მენეჯმენტში იორკის უნივერსიტეტში (გაერთიანებული სამეფო).

ნინო ელბაქიძე თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის თანათავმჯდომარეა. ქ-ნმა ელბაქიძემ „კონსტიტუციის 42-ე მუხლში“ მუშაობა 2002 წელს დაიწყო და 2014 წლის 1 ოქტომბრამდე პროექტების კოორდინატორად მუშაობდა. მისი მუშაობის ძირითადი სფეროა ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის საქმეები, ასევე ოჯახში

ძალადობასთან დაკავშირებული საქმეები. ქ-ნი ელბაქიძე ასევე მუშაობდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილ 20-მდე საქმეზე. 2005-2006 წლებში ის იყო ბრიტანეთის საბჭოს პროექტის „პროკურატურის რეფორმა“, მე-2 ფაზა, მიწვეული კონსულტანტი. მან 2003 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალში მაგისტრის ხარისხით, ხოლო 2006 წელს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი გახდა.

ბაბუცა პატარაია ქალთა ორგანიზაცია „საფარის“ დირექტორია და აქტიურად არის ჩართული საქართველოს ქალთა მოძრაობაში. იგი თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან როგორც ადგილობრივი ექსპერტი ქალთა საკითხებში და ადამიანის უფლებებზე, ქალთა უფლებებსა და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონმდებლობაზე ლექციებს კითხულობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. მას მიღებული აქვს სამართლის მაგისტრის ხარისხი ცენტრალურ ევროპულ უნივერსიტეტში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ანა აბაშიძე ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ თავმჯდომარეა. იგი შვიდი წლის განმავლობაში მუშაობდა გაეროს ქალთა ორგანიზაციაში და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. იგი ტრენინგებს უტარებს პრაქტიკოს იურისტებს საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის სოციალური ქარტიის (შეცვლილი სახით) გამოყენებასთან დაკავშირებით. ქ-ნი აბაშიძე ავტორია ადამიანის უფლებების მონიტორინგის შესახებ რამდენიმე ანგარიშისა და გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის შესაბამისად ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ პუბლიკაციებისა. მას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში - სამართლის მაგისტრის ხარისხი.

ანა არგანაშვილი ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ პროექტების მენეჯერია. იგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სოციალური ინტეგრაციისა და რეაბილიტაციის სფეროში 2003 წლიდან მუშაობს. სახალხო დამცველის აპარატში შვიდი წლის განმავლობაში ედგა სათავეში გედნერული თანასწორობის დეპარტამენტს და ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების ცენტრებს. გარდა ამისა, ქ-ნი არგანაშვილი ორი წლის განმავლობაში მუშაობდა „იუნისეფის“ პროექტში, რომელიც ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე იყო მიმართული. 2009 წელს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების სფეროში თავისი წვლილისათვის, მან მოიპოვა კოალიციის „დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ – შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე მომუშავე ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის – მხრიდან აღიარება. იგი ავტორია მრავალი კვლევისა და ანგარიშისა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ქალებისა და ბავშვების უფლებების შესახებ. ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები შრომით თერაპიაში მან ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, ხოლო მაგისტრის ხარისხი სამართალში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მურმან მარგველაშვილი არასამთავრობო ორგანიზაცია „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ (WEG) დირექტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კონსულტანტი ენერგეტიკის საკითხებში. კვლევის ინტერესები მოიცავს ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების ანალიზს, განათლებას და სამოქალაქო აქტივობას საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების მიმართულებით.

მიხეილ ბენიძე სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორია. 2010 წლიდან ჩართულია არჩევნების დაკვირვებისა და ადგილობრივ თვითმმართველობებთან დაკავშირებულ პროექტებში. იგი ფლობს პორტოს ბიზნეს სკოლის მაგისტრის ხარისხს ბიზნესის მართვაში.

მაია მიქაშავიძე - მეცნიერების დოქტორი, მას. კომუნიკაციისა და პროფესიული განვითარების მკვლევარია. ამჟამად ის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი და მართვის აკადემიის ტრენერია. მისი ძირითადი ინტერესია პოლიტ.კომუნიკაცია ფოკუსით ჟურნალისტიკასა და მასმედიაზე.

ლაშა მელაძე 2014 წლიდან განათლებისა და დემოკრატიის ცენტრის პროგრამების მენეჯერია. ამჟამად ის კოორდინაციას უწევს ორგანიზაციის მიმართულებას ევროინტეგრაციისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის სფეროში. ის ფლობს მაგისტრის ხარისხს და არის საერთაშორის პროგრამის „დემოკრატიის, მმართველობისა და არჩევნების სფეროში რესურსების შექმნა„ (BRIDGE) სრულად აკრედიტებული ფასილიტატორი.

მიხეილ პაკაცოშვილი 2014 წლიდან ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია „ელკანას“ პროექტის მენეჯერია. ამჟამად ის კახეთის და იმერეთის რეგიონებში ტურიზმის სფეროში ჩართული ღარიბი თემების და მეწარმეების ხელშეწყობის პროექტს ხელმძღვანელობს. მას გააჩნია სამართლის მაგისტრის ხარისხი რიგის სამართლის სკოლიდან.

მიხეილ მირზიაშვილი სტრატეგიული კვლევების რეგიონული ცენტრის დირექტორია, იგი მუშაობს ევროატლანტიკური ინტეგრაციის, რეგიონული თანამშრომლობის, კონფლიქტების მოგვარების და პრევენციის, დემოკრატიის განვითარებისა და ადამიანის უფლებების თემებზე. გავლილი აქვს ადამიანის უფლებათა ადვოკატირების პროგრამა კოლუმბიის უნივერსიტეტის საერთაშორისო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სკოლაში. არის ასოცირების ხელშეკრულებაზე მომზადებული გზამკვლევის თანაავტორი.

მანანა ქოჩლაძე ცენტალური და აღმოსავლეთ ევროპის ბანკების დამკვირვებელთა ქსელის კოორდინატორია ევროკავშირის სამეზობლო რეგიონში. ასევე არის ადგილობრივი გარემოსდაცვითი ორგანიზაციის - „მწვანე ალტერნატივა„ - დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. 2008-2010 წლებში იყო ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის სახელმძღვანელო საბჭოს წევრი „ევროპის საინვესტიციო ბანკის საგარეო მანდატის შუალედური გადახედვისთვის“. მანანა ქოჩლაძემ 2004 წელს გოლდმანის გარემოსდაცვითი პრიზი მიიღო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კამპანიისთვის. განათლებით ბიოლოგია. არის გარემოსდაცვის და ენერგეტიკის საკითხებზე არაერთი ანგარიშის ავტორი და თანაავტორი.

მარინე მიზანდარი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელოვნებისა კულტურის საბჭოს თანადამფუძნებელი, პროექტის - „პარტნიორობა უკეთესი გარემოსთვის“ - მენეჯერი, მონიტორინგის საერთაშორისო ექსპერტი, ევროკავშირის პროგრამებსა და პროექტებზე მუშაობის 11 წლიანი გამოცდილებით